საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

ოთხშაბათი-ხუთშაბათი, 23-24 ივნისი. 2021 წ. №137-138 (9256-9257) | ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

რა ეშველებათ ბესებს?!



მტერი რუსთაველსაც ჰყავდა და არც რუსთაველის თეატრს აკლია!..

ძველი ნათქვამია, რამდენიც არ უნდა იძახო, ჰალვა, ჰალვაო, პირი არ დაგიტკბებაო. ჩვენი ამჟამინდელი მდგომარეობა, როცა ჩვენივე უტვინობით შაგრენის ტყავივით დავაცოტავეთ ქართული მიწა-წყალი, რაღაცნაირად წააგავს ამ ამბავს. თითქმის სამი ათეული წელიწადია, რაც გავყვირით, რუსეთი ოკუპანტიაო, მაგრამ მარტო ოკუპანტის ძახილით დაკარგული მიწა-წყალი ერთი გოჯითაც არ მოგვმატებია. პირიქით, საზღვარი ნელ-ნელა მოიწევს ჩვენკენ, სიღრმეში...

ბაყბაყდევი თავისას არ იშლის. ბაყბაყდევთან ჯიქურ შებმა კი არ გამოვა. ამ დროს გონიერი კაცი ისეთ ხერხს იგონებს, ღონეს რომ სჯობია. ამ ხერხს არცთუ იშვიათად ტკბილი სიტყვა ჰქვია, ალერსიანი. ამ ტკბილ სიტყვას, როგორც ცნობილია, გველი რომ გველია, ისიც ხვრელიდან გამოჰყავს.

მაშასადამე, ღონით რომ ვერას ვხდებით, უსაგნო ლანძღვა-გინების ნაცვლად ტკბილი თუ არა, შემრიგებლური სიტყვა მაინც უნდა მოვიშველიოთ. კი, ბატონო, ძალიან ნუ დავტკბებით, ბაყბაყდევი დაგვწუწნის და გადაგვყლაპავს, მაგრამ ნურც ისე მწარე ნუ ვიქნებით, თორემ გადმოგვაფურთხებს.

იხ. 3 გვ.

„ხელოვნებას არა აქვს საზღვარი!“

რუსთაველის ეროვნული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი რობერტ სტურუა გუშინ მოსკოვში გაემგზავრა. აეროპორტში სტურუამ ჟურნალისტებს უთხრა, რომ მოსკოვში წინასწარ, ფესტივალის დაწყებამდე მიემგზავრება, რათა ნახოს, რა მდგომარეობაშია სცენა, რომელზეც დასმა უნდა ითამაშოს.

„წინასწარ მივდივარ, სცენა რომ ვნახო, როგორ მდგომარეობაშია, სადაც მსახიობები ჩამოვლენ 27-ში და უნდა ითამაშონ. მე იცი რა მაკვირვებს? — ჩვენზე რატომ გაქვთ ასეთი აღგზნება და როცა ჩამოდიან რუსული თეატრები, მაშინ რაღაც ძალიან ტაშით რატომ ხვდებით?!.

ხელოვნებას არა აქვს საზღვარი. მივდივარ ხელოვნების საჩვენებლად, თუ რას აკეთებს საქართველო მაშინაც კი, როცა ასეთ სავალალო მდგომარეობაში ჩააყენა რუსებმა,“ — განაცხადა სტურუამ ჟურნალისტებთან საუბრისას.

რუსთაველის ეროვნული თეატრი 2021 წელს, ჩეხოვის სახელობის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე (მოსკოვი) წარადგენს რობერტ სტურუას სპექტაკლს „თამაშის დასასრული“. სპექტაკლი წარმოდგენილი იქნება 30 ივნისს და 1, 2 ივლისს.

რუსთაველის თეატრის დასის მოსკოვში გამგზავრების ცნობას უარყოფითად შეხვდა საზოგადოების დიდი ნაწილი, რომელთაც გააკრიტიკეს ეროვნული თეატრის დასის ოკუპანტ ქვეყანაში ჩასვლა. საზოგადოების ნაწილი კი მიესალმება ამ გადაწყვეტილებას და აცხადებს, რომ „პოლიტიკა და კულტურა უნდა გაიმიჯნოს“.

კახა კალაძე:

ის სახელმწიფო რა სახელმწიფოა, თუ საკუთარი ხალხის სოციალურ კეთილდღეობაზე არ ზრუნავს!

②

რონინ მეტრეველი

⑥

⑦

დიდგორის ბრძოლა

ამერიკული ალიყური ნაციონალებს!

ყველაზე „პრინციპული“ პარტია მიშელის დოკუმენტზე ხელმოსაწერად ემზადება

ნიკა მელიას პოლიტიკური ინტელექტის ნატამალი არ გააჩნია!..

④

№ 139-140. ოთხშაბათი-ხუთშაბათი, 23-24 ივნისი, 2021 წელი.

დედაკალაქი



კახა კალაძე: ის სახელმწიფო რა სახელმწიფოა, თუ საკუთარი ხალხის სოციალურ კეთილდღეობაზე არ ზრუნავს!

„2017 წელს, როდესაც საარჩევნო კამპანიას ვაწარმოებდით, შვიდი ძირითადი მიმართულება გვქონდა, რომელზეც კონკრეტული პროექტებისა და პროგრამების სახით, კონკრეტული დაპირებები გაიცა. მიმდინარე წლის ოქტომბერში გვეწურება უფლებამოსილება, რომელიც თბილისის მოსახლეობის უმრავლესობამ მოგვანიჭა. მე, როგორც თბილისის მერი, ვალდებული ვარ, მოსახლეობას ჩავაბარო ანგარიში, თუ რისი გაკეთება შევძელით. დღევანდელი ჩვენი ანგარიში სოციალურ პოლიტიკას ეხება, რომელიც პირადად ჩემთვის და ჩემი თანაგუნდელებისთვის, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა. დამეთანხმებით, რომ ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანია. სახელმწიფო ვერ ჩაითვლება სახელმწიფოდ, თუ მან საკუთარი პოზიტიური ვალდებულება არ განახორციელა, არ იზრუნა მოქალაქეების ჯანმრთელობაზე, ხელი არ შეუწყო მათი სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას და ღირსეული ცხოვრებისთვის შესაბამისი პირობები არ შეუქმნა“, — განაცხადა კახა კალაძემ სოციალური პოლიტიკის ანგარიშის წარდგენაზე.

მისივე თქმით, ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა, რომლის შედეგადაც, ჯანდაცვა და სოციალური მიმართულება მოქალაქეებისთვის ხელშესახები გახდა.

„რა თქმა უნდა, ეს მხარდაჭერა მომავალშიც აუცილებლად გაგრძელდება. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ გვყავს ადამიანები, რომელთაც ჩვენი — სახელმწიფოსა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მხრიდან, თანადგომა სჭირდებათ. ჩვენ გვახსოვს წლები, როდესაც ჯერ მოშლილი სახელმწიფო ინსტიტუციების, შემდეგ კი ანტისოციალური პოლიტიკის შედეგად, ადამიანებს გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისთვის მაგალითად, სახლის გაყიდვა უწევდათ. დღეს კი ჯანდაცვა არა პრივილეგია, არამედ სახელმწიფოს, მუნიციპალიტეტის პრიორიტეტია. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლების განმავლობაში თბილისის ბიუჯეტის დიდი ნაწილი სწორედ სოციალური და ჯანდაცვის პოლიტიკის მიმართულებით იხარჯება“.

კახა კალაძემ კორონავირუსის პანდემიის წინააღმდეგ მებრძოლ მედიკოსებს მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ სოციალურ მიმართულებას დედაქალაქის ბიუჯეტიდან არცერთი თეთრი არ დაკლებია.

დედაქალაქის მერმა აქვე მადლობა გადაუხადა ბიზნესსექტორისა და საზოგადოების იმ წარმომადგენლებს, რომლებიც პანდემიის პირობებში დაწყებული მოქალაქეთა დახმარების აქციაში მონაწილეობდნენ.

„მინდა ძალიან კარგი პროექტი გამოვყო, რომელიც ერთგვარი სოლიდარობის აქტი იყო. რთულ ვითარებაში შევქმენით სპეციალური პლატფორმა, სადაც ბიზნესსექტორის წარმომადგენლებსა და მოქალაქეებს მიეცათ შესაძლებლობა, დახმარებოდნენ იმ ადამიანებს, რომლებსაც პანდემიის პირობებში ყველაზე მეტად გაუჭირდათ. მინდა, ბიზნესსექტორის ყველა წარმომადგენელს და ფიზიკურ პირს, ვინც ჩართული იყო ამ პროექტში, მადლობა გადავუხადო“, — აღნიშნა თბილისის მერმა.

რაც შეეხება ბოლო წლებში გაწეულ საქმიანობას, კახა კალაძის განცხადებით, დაინერგა ახალი პროგრამები, არსებულები კი გაუმჯობესდა.

„მერიისა და გამგეობების პროგრამებით, მოსახლეობის ორ მილიონზე მეტი მოთხოვნა დაკმაყოფილდა, რისთვისაც მილიარდზე მეტი ლარი დაიხარჯა; დავნერგეთ ახალი პროგრამები, არსებულები კი გავაუმჯობესეთ. კარგად ვიცით, რომ ჯერ კიდევ ბევრი ადამიანია, ვისაც სახელმწიფოს გვერდში დგომა სჭირდება, კიდევ ბევრი პროგრამაა, რომელიც უნდა გაფართოვდეს და, რაც მთავარია, მომსახურების ხარისხი გაიზარდოს. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ამ მიმართულებით ვიმუშაოთ, რათა მეტმა ადამიანმა იგრძნოს მხარდაჭერა და თანადგომა. მე, როგორც ქალაქის მერი, რა თქმა უნდა, ვისურვებდი, რომ რაც შეიძლება ნაკლები სოციალურად დაუცველი მოქალაქე იყოს ქვეყანაში, ქალაქში და სოციალურად ძლიერი ოჯახები გვყავდეს. ამას ქვეყნის ეკონომიკური განვითარება სჭირდება. მიუხედავად იმისა, რომ პანდემიამ შეგვაფერხა და პრობლემები შექმნა, დარწმუნებული ვარ, მომდევნო წლების განმავლობაში, ქვეყნის ეკონომიკური განვითარება იქნება ძლიერი, რომელიც ჩვენი ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს უნდა შეეხოს“.

კახა კალაძის განცხადებით, **დედაქალაქში არსებული სახელმწიფო ბაგა-ბაღები მაღალი ხარისხითა და ევროპული სტანდარტებით გამოირჩევა.**

„საამაყოა ის სტანდარტი, რაც ბაგა-ბაღებში დაინერგა. ჩვენს შვილებს, მომავალ თაობას აქვს შესაძლებლობა, რომ განათლება ღირსეულ პირობებში მიიღონ. ყველა ბაღში გათვალისწინებულია ევროპული სტანდარტები — კვების კომპონენტი, გარემო, დასასვენებელი სივრცეები და ა.შ. ბაღებში აღსაზრდელთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. შესაბამისად, ჩვენ ამ მიმართულებით მუშაობას განვაგრძობთ“, — განაცხადა კახა კალაძემ.

სოციალური პოლიტიკის მიმართულებით განხორციელებულ პროექტებსა და პროგრამებზე დეტალურად თბილისის მერის მოადგილემ **ილია ელოშვილმა** ისაუბრა.

„ამჟამად, თბილისის მერიის მართვაშია 185 საბავშვო ბაგა-ბაღი, სადაც რეგისტრირებულია 61 000 აღსაზრდელი. 2018-2021 წლებში თბილისში აშენდა და გაიხსნა 18 საბავშვო ბაგა-ბაღი, ათი განახლდა, ხოლო 147 ბაღში მასშტაბური სარემონტო სამუშაოები ჩატარდა“, — აღნიშნა ილია ელოშვილმა.

თბილისის მერის მოადგილემ საბავშვო ბაღებში აღსაზრდელთა მიღების პროცედურაზეც ისაუბრა.

„ბაღებში ბავშვთა რეგისტრაცია ორ ეტაპად ტარდება. პირველი ეტაპი ითვალისწინებს სოციალურ კომპონენტს — პრიორიტეტი ენიჭებათ კონკრეტულ ბენეფიციარებს. 2018-2019 წლებში ამ კატეგორიებს დაემატა: მარტოხელა მშობლების შვილები; მრავალშვილიანი ოჯახების შვილები და სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების შვილები“, — აღნიშნა ილია ელოშვილმა.

გარდა ამისა, თბილისის მერის მოადგილის განცხადებით, 2018-2021 წლებში, თბილისის მერიამ ჯანდაცვის მიმართულებით სამი ახალი პროგრამა დანერგა. საანგარიშო პერიოდში, დედაქალაქის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის მიერ, ჯამში, 28 პროგრამა 228 305 235 ლარით დაფინანსდა.

„ჯანდაცვის მიმართულებით სულ განხორციელებულია 28 პროექტი. ყველა ძველი პროექტი შენარჩუნდა, ნაწილი გაფართოვდა და სამი ახალი კომპონენტი დაემატა. ესენია: „ტრანსპლანტაციის პროგრამის“ ღვიძლის გადანერგვის კომპონენტი; „დაავადებათა სკრინინგის პროგრამის“ ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მართვის კომპონენტი და გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების პროგრამა. ღვიძლის ტრანსპლანტაცია არის შენარჩუნებული სიცოცხლე ან უარეს შემთხვევაში, ოჯახის სოციალური განადგურებისგან ხსნა. ეს ოპერაცია იმდენად ძვირი ჯდებოდა, რომ პაციენტების ოჯახებს მთელი ქონების გაყიდვა უწევდათ. რაც შეეხება დავადებათა სკრინინგის პროგრამის ცენტრს, ეს უკვე თვისობრივად სხვა ცენტრია, სადაც 2 მლნ ლარის ინვესტიცია ჩაიდო. შევისყიდეთ თანამედროვე ტექნიკა, გაიხსნა ახალი ფილიალები და უფრო მეტ ადამიანს მიეცა საშუალება, რომ შესაბამისი გამოკვლევები ჩაიტაროს. რაც შეეხება გაფანტულ სკლეროზს, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ფინანსდება მედიკამენტები, რომლებიც პაციენტების სიცოცხლის შენარჩუნებისთვის აუცილებელია“, — აღნიშნა ილია ელოშვილმა.

მისივე თქმით, „ტრანსპლანტაციის“ პროგრამის ფარგლებში, 259 პაციენტი დაფინანსდა. აქედან, ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების გადანერგვისა და მასთან დაკავშირებული კვლევების მიმართულებით დაფინანსდა 235 შემთხვევა, ხოლო თითოეული შემთხვევის დაფინანსება მერყეობს 10 000-დან 235 000-ლარამდე.

ილია ელოშვილმა თბილისის სოციალური პოლიტიკის მიმართულებით განხორციელებული პროექტების ანგარიშის წარდგენისას, ბავშვთა სამედიცინო და სოციალური დახმარების მუნიციპალურ პროგრამებზეც გაამახვილა ყურადღება. მერის მოადგილემ ერთ-ერთ მნიშვნელოვან პროგრამად „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის პროგრამა“ დაასახელა. მისი თქმით, ამ პროგრამით 1 375 პირი სარგებლობს.

თბილისის მერის მოადგილემ ასევე, სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვებისა და მრავალშვილიანი ოჯახებისთვის განკუთვნილ პროგრამებზე ისაუბრა. დემოგრაფიული ინტერესებიდან გამომდინარე, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება.

„სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის ჩვენ გვაქვს პროგრამები მოსწავლეახალგაზრდობის სასახლეში, სახელოვნებო სკოლებში, სპორტულ დარბაზებსა და საცურაო აუზებზე. 9 000-ზე მეტი სოციალურად დაუცველი ბავშვი სარგებლობს ამ პროგრამებით და სრულიად უფასოდ იღებს იმ სიკეთეს, რაც ნიშნავს ჯანსაღი ცხოვრების წესს. ამასთან, გვაქვს სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარების პროგრამა. დემოგრაფია სერიოზული პრობლემაა ჩვენთვის. ამიტომ, გადაწყვეტილება იყო მიღებული, რომლის მიხედვითაც მეორე ახალშობილზე 500 ლარით ვაფინანსებთ, მესამე შვილზე — 800, მეოთხეზე — 1 000, ხოლო მეხუთე და მომდევნო შვილზე — 1 500 ლარით. ამ პროგრამაში 24 500-ზე მეტი ბავშვია ჩართული. გარდა ამისა, მრავალშვილიანი ოჯახების თითოეულ ბავშვზე, ყოველთვიურად გამოყოფილია 50-ლარიანი ფინანსური დახმარება“, — განაცხადა ილია ელოშვილმა.

თბილისის მერის მოადგილემ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების მხარდამჭერ პროგრამებზეც ისაუბრა.

„ამ მხრივ მნიშვნელოვანია 18 წლამდე ასაკის შშმ პირთათვის 800 ლარით დახმარების პროგრამა. ამას 100-ზე მეტი პირი იღებს. ასევე, ბავშვთა და მოზარდთა საკურორტო მომსახურების პროგრამა. პირადად მაქვს ნანახი, რამდენად ბედნიერი არიან ეს ბავშვები გამგზავრების წინ“, — განაცხადა ილია ელოშვილმა.

ამასთან, დედაქალაქის მერის მოადგილის თქმით, ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის მიერ განხორციელებული პროგრამების გარდა, მნიშვნელოვანია ის სოციალური პროგრამები, რომელიც აქვს ათივე რაიონულ გამგეობას.

ანგარიშის პრეზენტაციაზე ასევე აღინიშნა, რომ კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულთა დაკმაყოფილების პროექტი კვლავ გრძელდება, თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილია 17 არეალი, სადაც საცხოვრებელი სახლების მშენებლობა მიმდინარეობს.

„კოოპერატიული ბინათმშენებლობებით დაზარალებული ადამიანები ყოველ წელს სახელმწიფოს დახმარებას სთხოვდნენ. როდესაც მუშაობა დავიწყეთ, ვნახეთ, რომ ამ პროექტის განხორციელება შესაძლებელი იყო. დაახლოებით, 3 100 ოჯახია დაზარალებული. ამ დროისთვის, 1 289 ოჯახს მიეცა შესაძლებლობა, რომ საკუთარ საცხოვრებელ სახლებში იცხოვროს. ჩვენ გამოვყავით 17 არეალი, სადაც უკვე მიმდინარეობს მშენებლობა, ზოგან სამშენებლო ნებართვის გაცემის პროცედურა ხორციელდება, — აღნიშნა კახა კალაძემ.

თბილისის მერის მოადგილე ილია ელოშვილის განცხადებით აღნიშნული პროექტისთვის 963 მილიონი დაიხარჯა, ხოლო დასრულებული საცხოვრებელი ბინების ჯამური ფართი 8 000 კვ. მ-ზე მეტია.

„ამჟამად, კოოპერატიული მშენებლობებისგან დაზარალებულია 3 100 პირი, რომელიც სახელმწიფომ ცნო დაზარალებულად და ეს ვალი სასამართლოს მიერაა აღიარებული, მაგრამ წლების განმავლობაში ვერ გამოინახა ის მიდგომა, რითიც დაკმაყოფილდებოდნენ ეს მოქალაქეები. იმედია, მალე სრულად დამთავრდება პროგრამა და დაზარალებული ოჯახები აღარ გვეყოლება“.

დედაქალაქის მერის მოადგილის განცხადებით, თბილისის მასშტაბით, დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის მიერ 33 ობიექტზე უკვე გაიცა რეკომენდაცია და ნებართვების აღების პროცესი მიმდინარეობს.

„არსებული 179 ობიექტიდან ყველაზე დიდი იყო პირველი ხუთი პროექტი, ანუ 80%-ს შეადგენს „ცენტრ პოინტის“, „სვეტის“, „ოლიმპიური ვარსკვლავის“ დაუმთავრებელი მშენებლობები, რომლებიც წლების განმავლობაში იყო გაჩერებული. დღეს, 8 362 მისამართზე უკვე მიმდინარეობს სამშენებლო ან სარემონტო პროცესები. დარჩენილ 2 000-დან 3 000-მდე დაზარალებულის დასაკმაყოფილებლადაც შესაბამის ნაბიჯებს ვდგამთ. მიმდინარეობს სანებართვო პროცედურები და, დარწმუნებული ვარ, რომ წლის ბოლომდე ამ პრობლემას 90-95%-ით მოვაგვარებთ“, — აღნიშნა ილია ელოშვილმა.

საუბრის დასასრულს, თბილისის მერმა უწყების თითოეულ თანამშრომელს გაწეული საქმიანობისთვის მადლობა გადაუხადა.

„მინდა, ასევე, ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ახალგაზრდებს, იმ მოხალისეებს, რომლებიც პანდემიის პირობებში — მაშინ, როდესაც ძალიან რთული იყო მოქალაქეებთან ურთიერთობა, ყოველგვარი თხოვნის გარეშე გვედრით გვედგნენ და მაქსიმალურად ვეხმარებოდით იმ მოქალაქეებს, რომელთაც დახმარება ყველაზე მეტად სჭირდებოდათ“, — განაცხადა კახა კალაძემ.

სტუდენტობა – ქვეყნის უპირველესი სიმდიდრე!

როგორ აისახა თბილისის მერიის ახალგაზრდების მხარდაჭერის პროგრამები სტუდენტთა ცხოვრებაზე

თბილისის მერიამ, პანდემიის პირობებში, 2021 წლიდან სოციალურად დაუცველთა პროგრამა გააფართოვა, ბიუჯეტი გაზარდა და სოციალურად დაუცველი სტუდენტების პარალელურად, დამატებით იმ წარმატებული სტუდენტების დაფინანსება დაიწყო, რომელთაც სწავლის საფასურის გადახდაში პრობლემა შეექმნა.

„პრობრესნიუსი“ გთავაზობთ ინტერვიუს მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის განათლების და ახალგაზრდობის განყოფილების ხელმძღვანელ გოგი ჩიქოვანთან:

– **თბილისის** მერია განათლების კომპონენტს სამი ძირითადი მიმართულებით აფინანსებს. აქედან ორი სტუდენტების ნაწილშია და მესამე სამსახურის მაძიებელი მოქალაქეების მომზადება-გადამზადების და დასაქმების ხელშეწყობის მიმართულებით. მერია აფინანსებს სტუდენტების სწავლას ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტურანტურის საფეხურზე. ბაკალავრიატის მიმართულებით დაფინანსება სოციალურად დაუცველი სტუდენტებისთვის არის გათვალისწინებული. პროგრამა 2018 წლიდან მოქმედებს, მაგრამ 2020 წლის ჩათვლით ფინანსდებოდა თბილისში რეგისტრირებული, 70 000 და ნაკლები სოციალური ქულის მქონე სტუდენტი, 2021 წელს კი თბილისის მერის ინიციატივით, პროგრამა გაფართოვდა, ბიუჯეტი გაორმაგდა და შევიდა ცვლილებები, რაც ითვალისწინებს, რომ უკვე 150 000 და ნაკლები სოციალური ქულის მქონე სტუდენტი ფინანსდება. ეს დაახლოებით აორმაგებს იმ სტუდენტების რაოდენობას, რომლებიც მერიიდან მხარდაჭერას მიიღებენ.

– კონკრეტულად, რამდენი სტუდენტი მიიღებს მერიის დაფინანსებას და რა ოდენობის თანხით დაფინანსდებიან ისინი?

– განაცხადების მიღება წელიწადში ორჯერ ხდება და სემესტრულად,1500-ზე მეტი სტუდენტი ფინანსდება. რაც შეეხება დაფინანსების რაოდენობას, ეს დამოკიდებულია აკადემიურ მაჩვენებელზე. ვისაც უფრო მაღალი აკადემიური მაჩვენებელი აქვს, ის უფრო მეტ დაფინანსებას მიიღებს. სოციალურად დაუცველ სტუდენტს, რომელსაც საშუალო აკადემიური ქულა 71 და მეტი აქვს, შეუძლია 100%-მდე სემესტრული დაფინანსება მიიღოს, ხოლო მინიმუმ 50% ყველა სტუდენტი იღებს, განურჩევლად აკადემიური მოსწრებისა. აკადემიური მაჩვენებელის გათვალისწინება სტუდენტების მოტივაციის გაზრდისთვის ხდება, რომ უფრო კარგად ისწავლონ. სტუდენტს შეუძლია აკადემიური ქულა გააუმჯობესოს და შემდეგ სემესტრში უფრო მეტი დაფინანსება მიიღოს. ჩვენ გარკვეული ანალიზი გავაკეთეთ რამდენად ეხმარება პროგრამა განათლების ხარისხის გაზრდას და აღმოჩნდა, რომ აკადემიური მოსწრების მაჩვენებლები დაახლოებით, 30%-ით გაიზარდა, ანუ ეს არ არის მხოლოდ სოციალური დახმარების კომპონენტი, არამედ განათლების კომპონენტიც არის გაძლიერებული იმ კუთხით, რომ სტუდენტებს სწავლის მაღალ მოტივაციას უჩენს. ამ სემესტრში უკვე 1400-ზე მეტი სტუდენტი დაფინანსდა და განაცხადების მიღება გრძელდება. სექტემბერში შემოდგომის სემესტრის დაფინანსებაზე განაცხადების მიღება გამოცხადდება. გარდა ამისა, გვაქვს მერიის სტიპენდია, ოღონდ ეს არის მაგისტრატურის საფეხურის წარჩინებული სტუდენტებისთვის და აქ სოციალური კრიტერიუმი აუცილებელი არ არის. სტიპენდიის მიღება შეუძლია ყველას, ვინც თბილისში მოქმედი უმაღლესი სასწავლებლების მაგისტრატურის საფეხურზე სწავლობს და წინა სემესტრში, ყველა საგანში 91 და მეტი აკადემიური ქულა აქვს. ცვლილება ამ მიმართულებასაც შეეხო და 2021 წელს ფაქტობრივად, რაოდენობა გასამმაგდა იქიდან გამომდინარე, რომ ადრე კვოტირება გვონდა. ახლა კვოტირება მოიხსნა და სტიპენდიას მიიღებს ყველა სტუდენტი, ვისაც მაგისტრატურის საფეხურზე კარგი აკადემიური მოსწრება აქვს.

– სტიპენდიის მისაღებად სტუდენტმა განაცხადით უნდა მოგმართოთ?

– ამ შემთხვევაში, უნივესიტეტი მოგვმართავს (საუბარია თბილისში მოქმედ 9 სახელმწიფო უნივერსიტეტზე) და წარმოადგენს მაგისტრატურის საფეხურის წარჩინებული სტუდენტების სიას. ანალოგიურად, აქაც წელიწადში ორჯერ ვიღებთ განაცხადებს. ამ სემესტრში მერიის სტიპენდიას 470 სტუდენტი მიიღებს. ეს არის ძალიან საჭირო და მნიშვნელოვანი პროგრამის ორი ძირითადი მიმართულება, რომელიც ეხმარება სტუდენტებს, რომ ფინანსური ვალდებულების გამო სტუდენტის სტატუსი არ შეუჩერდეთ, უმაღლესი განათლების მიღება, დასაქმება და საკუთარი თავის რეალიზება შეძლონ. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ეს პროგრამა მერიაში 2015 წლიდან მოქმედებს, მაგრამ 2021 წელს მერის ინიციატივით გაორმაგდა. თუ მანამდე მხოლოდ 70 000 და ნაკლები სოციალური ქულის მქონე სტუდენტი ფინანსდებოდა, ახლა ფაქტობრივად, თბილისში რეგისტრირებულ ყველა სოციალურად დაუცველ სტუდენტს შეუძლია ფინანსური მხარდაჭერა მიიღოს.

– პროგრამის ბიუჯეტი რამდენით განისაზღვრა?

– წინა წლებში სემესტრულად, 800-დან 1000-მდე სოციალურად დაუცველი სტუდენტი ფინანსდებოდა. კრიტერიუმების ცვლილებების შემდეგ ბიუჯეტი თითქმის გაორმაგდა და 1500 -ზე მეტი სტუდენტი ფინანსდება. შესაბამისად, თუ წინა წლებში სოციალურად დაუცველი სტუდენტების სწავლის დაფინანსების ნაწილში მილიონ 100 000 იყო გამოყოფილი, წელს უკვე 2 მილიონ 200 000 ლარი გამოიყო. სტიპენდიების კომპონენტზე წინა წლებში 200 000 ლარი იყო და წელს ეს ნაწილიც გაორმაგდა და 400 000 ლარი გახდა. ჯამში, ორივე კომპონენტის – სოციალურის და მაგისტრანტების წახალისების ბიუჯეტი 2 მილიონ 600 000 ლარია, რაც ორჯერ მეტია წინა წლის ბიუჯეტთან შედარებით. ასე, რომ მერია თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მაქსიმალურად უწყობს ხელს სტუდენტებს, რომ კარგი განათლება მიიღონ და შემდგომში თვითრეალიზება შეძლონ. აქვე აღვნიშნავ, რომ ცალკე, დამატებითი პროგრამები აქვს აგრეთვე განათლების სამინისტროს, უბრალოდ, ჩვენი მიზნობრივად თბილისზე და თბილიში მცხოვრებ სტუდენტებზეა ორიენტირებული და ეს არ არის ერთადერთი მიმართულება, რომელსაც მერია ახალგაზრდებისთვის ახორციელებს.

– იქნებ სხვა მიმართულებებზეც გვიამბოთ..

– ძალიან მნიშვნელოვანი პროგრამა გვაქვს – „ისწავლე და დასაქმდი“ პროფესიული მომზადება-გადამზადების კუთხით, რომელიც პირდაპირ დასაქმებაზეა ორიენტირებული. სამსახურის მაძიებელ, თბილისში რეგისტრირებულ 18 წლის ზემოთ მყოფ მოქალაქეს, ამ პროგრამის ფარგლებში შეუძლია მერიის დაფინანსებით მოკლევადიანი მომზადების კურსი გაიაროს და დასაქმდეს. პროგრამა თბილისში მოქმედ 4 სახელმწიფო კოლეჯთან თანამშრომლობით ხორციელდება. ის 2018 წლიდან ამოქმედდა და დაახლოებით, 4000-მდე მოქალაქე ჩაერთო. დასაქმების მაჩვენებელი 80%-ია, ვინაიდან პირდაპირ ორიენტირებულია დასაქმებაზე და კერძო სექტორის მოთხოვნებზე და კონკრეტულად, იმ უნარ-ჩვევებს და ცოდნას აძლევს მოქალაქეს, რაც დასაქმებისთვის სჭირდება. ჩვენი მთავარი მიზანი და ამოცანაა, რომ მოქალაქეებს პირველი ნაბიჯების გადადგმაში დავეხმაროთ. შემდგომი ნაბიჯები უკვე მათი დამსაქმებელთან ურთიერთობიდან გამომდინარეობს. დღეს დასაქმების კუთხით ერთ-ერთი მთავარი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ სამსახურის მაძიებელთა კომპეტენცია დამსაქმებელთა მოთხოვნებს არ პასუხობს. ანუ ერთის მხრივ, არსებობს კადრებზე მოთხოვნა და მეორეს მხრივ, არსებობენ ადამიანები, რომელთა კომპეტენცია და კვალიფიკაცია დასაქმების მოთხოვნებს არ შეესაბამება. ამიტომ ჩვენი პროგრამა არის ორიენტირებული იმაზე, რომ მოქალაქეებს მივცეთ ის ცოდნა და უნარები, რაც კერძო სექტორს ჭირდება. ამ მიმართულებით მერიას, სახელმწიფო კოლეჯებს და კერძო სექტორს საკმაოდ ეფექტური კომუნიკაციის მექანიზმი გვაქვს ჩამოყალიბებული. პლატფორმაც არსებობს – დასაქმდი ჯი. სადაც კომუნიკაციის მექანიზმი არის როგორც მოქალაქესთან, ისე კერძო სექტორთან. მოქალაქეებს შეუძლიათ ელექტრონულად გაიარონ რეგისტრაცია და მომზადება – გადამზადების კურსი გაიარონ. ამის მერე პრაქტიკული კომპონენტი კომპანიების ბაზაზეა და შემდგომ ხდება უშუალოდ კოორდინაცია დამსაქმებელთან.

– ამ პროგრამაზე განაცხადების მიღება როდის ხდება?

– მიღებას ყოველწლიურად, გაზაფხულზე ვაცხადებთ. წელს პანდემიის გამო სასწავლო პროცესი გაჩერებული იყო და ვადებმა ოდნავ გადმოიწია. შესაბამისად, ძალე ახალ მიღებას გამოვაცხადებთ. მინდა აღვნიშნო, რომ ეს ძალიან წარმატებული პროგრამაა და ერთ-ერთი ყველაზე მაღალი შედეგები გვაქვს როგორც ჩართულობის, ასევე დასაქმების კუთხით.

ამის გარდა, სხვა საინტერესო მიმართულებებიც გვაქვს, მაგალითად, ახალგაზრდულ ორგანიზაციებს ვეხმარებით პროექტების დაფინანსების კუთხით, ვაწყობთ სხვადასხვა ტიპის ფესტივალებს და ახალგაზრდულ ბანაკებს, რადგან მერიის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი ცხოვრების ჯანსაღი წესის დაცვაა. ამის გარდა, მოგეხსენებათ, რომ მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის სრული რეაბილუტაცია დაიწყო და ეს ძალიან მნიშვნელოვანია, იმიტომ, რომ სასახლეს აქვს ისტორიული და კულტურული დატვირთვა. გარდა ამისა, ხდება განახლება ახალგაზრდული სახლების და ცენტრების რეაბილიტაცია ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების თვალსაზრისით.

მტერი რუსთაველსაც ჰყავდა და არც რუსთაველის თეატრს აკლია!..

(პირველი გვერდიდან)

სიტყვას, ენას ბევრი კარგიც შეუძლია და ცუდიც, აკი ნათქვამია, ენამ მოჭამა სოფელი, არც ეგრე ხმალმა ამოღებულმაო...

ერთი სიტყვით და ჩემი აზრით, ამ მხრივ, ის ამბავი, რომ ჩვენი სახელოვანი რუსთაველის თეატრი, ფრიად და ფრიად გამორჩეული რეჟისორის რობერტ სტურუას ხელმძღვანელობით მოსკოვს მიემგზავრება ჩეხოვის მსოფლიო თეატრალური კონკურს-ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად და თანაც ბეკეტის ორლესული პიესა მიაქვს, მაყურებელს ძალიან ბევრ რამეზე აუხელს თვალს. მაყურებელი კი, იცოცხლე, არ მოაკლდება რობერტ სტურუას სპექტაკლს. რუს მაყურებელთან ერთად, იქ იქნებიან მოსკოველი ქართველები და უამრავი უცხოელი სტუმარი და კონკურს-ფესტივალის მონაწილე. თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ ქართული სიტყვა, ქართული ხელოვნება, ქართული ნართაული იგავმეტყველება ნამდვილად დაეუფლება საერთოდ მაყურებელს და, კერძოდ, რუს მაყურებელს, რომელიც უკვე ამდენი ხნის „ჩავარდნის“ შემდეგ, ერთხელ კიდევ გახდება ქართული გამორჩეული ნიჭიერების მეტეორივით გაელვების მოწმე.

ჭეშმარიტი ხელოვნებით ეს „გულების დაუფლება და დაპყრობა“ კი რუსთა დედაქალაქში ცოტას არ ნიშნავს იმ გზაზე, რომელმაც, ბოლოს და ბოლოს, ჩვენი დაცოტავებული შაგრენის ტყავის ძველ ზომამდე უნდა მიგვიყვანოს. დიახ, ბოლოს და ბოლოს და თანდათან, ნელ-ნელა, რადგან ეს არცთუ ხანმოკლე პროცესია, რომელმაც ჩვენი სისხლი და ხორცი მეგობრები აფხაზები და ოსები გულის სიღრმეში უნდა დაარწმუნოს, რომ ქართველთა ავისმდომი არც აფხაზთა და ოსთა კეთილმსურველია.

უძველესი სიბრძნეა, რომ შენი მეგობრის მტერი შენი მეგობარი ვერ იქნება.

დიახაც, სწორედ ზემოხსენებული პროცესის ერთგვარი დაჩქარებაა ქართული კულტურის და ამ შემთხვევაში რუსთაველელთა უპირველესი და უზენაესი მოსკოვურ კონკურს-ფესტივალში მონაწილეობის მიზანი.

სანამ საქმეში დიპლომატია უფრო შედეგიანად ჩაერევა, კულტურა, ყოველთვის ასე იყო მუდამ, კაფავს მომავლის გზას. მით უმეტეს, რომ მტრად ქცეული ქვეყნის უთუოდ დიდი კულტურა არასოდეს არ ყოფილა უცხო ქართული კულტურისთვის. არც კიდევ ჩვენი ხალხები არიან ერთმანეთის მტრები. ასე რომ, სიკეთის იმედი არ უნდა გადავიწუროთ. ის პოლიტიკური ძალები, რომლებიც ცდილობენ ამ სიკეთის იმედის გაქარწყლებას, დღეს არიან და ხვალ აღარ იქნებიან. ხალხები და კულტურები კი მუდამ იყვნენ და მუდამ იდღეგრძელებენ.

დიდად დასანანია, რომ ბუნების ეს გარდაუვალი კანონი პოლიტიკურად ბევრ ჩვენს ბეც თანამემამულეს არ ესმის ანდა არ უნდა, რომ გაიგოს და ვაიოპოზიციური არხების („პირველი“, „მთავარი“, „ფორმულა“) ტელეეკრანებიდან შავ წყალს აკოკისპირულებენ რუსთაველის თეატრსაც და თვითონ რობერტ სტურუასაც, რომლის ჭეშმარიტად ქართულ მამულიშვილობას თავიანთ პოლიტიკურად გაჯერებულ, ვითომ პატრიოტიზმს უპირისპირებენ. ერთ-ერთი, ვინც ამ მხრივ ყოველთვის მაოცებდა და მაოცებს თავისი ჩაბჟირებული ხმამაღალი სიშმაგით, ვინმე გიორგი სავანელია. რეჟისორიო, გამოაცხადა „პირველების“ პირველი ხაზის გამძღოლმა, პოლიტიკურად არანაკლებ მოწამლულმა მაკა ბუკიამ, მაგრამ არა მგონია, რომ რეჟისორ გიორგი სავანელის რომელიმე სპექტაკლს რომელიმე თეატრის სცენაზე მაყურებლის ყურადღება მიექციოს. სამაგიეროდ სატელევიზიო შოუებს აწყობს და თავი ისე მოაქვს, ვითომც სამასი არაგველიდან ერთ-ერთი გადარჩენილი არაგველია, ჩვენს დრომდე მოღწეული.

მოკლედ, ისღა დაგვრჩენია, რომ გზა მშვიდობისა ვუსურვოთ რუსთაველელებს. ღმერთმა ქნას, როგოც ყოველთვის, ამჯერადაც წარემატონ და გულის გასაღები უპოვონ მოსკოველ მაყურებელს. ცხადია, რომ ვინც საქვეყნო კეთილი საქმისთვის დიდ გზაზე შემდგარ კულტურას თავისი სიბეცით და მოკლე ჭკუით წინ ეღობება და თავისი პოლიტიკური სამრეკლოდან ათას სისულელეს გაჰკივის, იმას არცრა საერთო არა აქვს რა კულტურასთან. იმას სულ სხვა მუცლის გვრემა აბოროტებს.

გურამ შატაიძე

№ 139-140. ოთხშაბათი-ხუთშაბათი, 23-24 ივნისი, 2021 წელი.

ნიკა მელიას პოლიტიკური ინტელექტის ნატამალი არ გააჩნია!..

თბილისის მერობისთვის ბრძოლა, კალაძის გარდა, ყველას წაგებული აქვს!

„ნაციონალური მოძრაობა“ ადგილობრივ არჩევნებში ბრძოლის ტაქტიკას ცვლის და, როგორც ჩანს, თბილისის მოგების ნაცვლად მისი მთავარი ინტერესი ახლა რეგიონებში გამარჯვება იქნება, რადგან „ქართულმა ოცნებამ“ 43%-ის აღება ვერ შეძლოს და რიგგარეშე არჩევნები დაინიშნოს. რა თქმა უნდა, ხელისუფლების მთავარი მიზანიც 43%-ია და ის ბოლომდე იბრძოლებს იმისთვის, რომ შარლ მიშელის დოკუმენტით შეთანხმებული ჩამკეტი ბერკეტი არ ამოქმედდეს და ხელახალი საპარლამენტო არჩევნები 2022-ში არ დაინიშნოს. როგორც ჩანს, ხელისუფლებაც და ოპოზიციაც აცნობიერებს, რომ ახლა ქვეყანაში პოლიტიკური მოცემულობა რადიკალურად შეიცვალა, რადგან ერთმანეთის პირისპირ ბრძოლაში მხოლოდ ენმ და „ოცნება“ აღარ იქნებიან. განსაკუთრებულ საფრთხეს ხელისუფლება მას შემდეგ გრძნობს, რაც პოლიტიკურ ასპარეზზე გიორგი გახარია გამოჩნდა.

გახარია, ფაქტია, ორივე ძალისთვის დიდ თავისტკივილს წარმოადგენს, განსაკუთრებით — ხელისუფლებისთვის. ექსპრემიერის ძირითადი ელექტორატი „ოცნების“ ამომრჩეველია, რომელიც მმართველ გუნდზეა გაბრაზებული. თუმცა ექსპრემიერი საფრთხეა პატარა პარტიებისთვისაც, რომელთა ელექტორატის გადაბირებას ის ადვილად შეძლებს. რაც შეეხება „ნაციონალებს“, გახარიამ თუ მესამე ძალის ფორმირება შეძლო, ენმ პოლიტიკური ველიდან, როგორც პირველი ოპოზიციური ძალა, პოზიციებს დათმობს. ამიტომ ძირითადი ბრძოლის ველი რეგიონები იქნება და მთავარი მოტივაცია „ოცნებისთვისაც“ და „ნაციონალებისთვისაც“ 43%-ის აღება ან ვერაღება გახდება.

„ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე **ნიკა მელია** აცხადებს, რომ თბილისის მერობის კანდიდატად საკუთარ თავს „თითქმის აღარ განიხილავს“ და ამის მიზეზებს განმარტავს:

„თბილისის მერობის კანდიდატობას თითქმის აღარ განვიხილავ, ისევე, როგორც არ განვიხილავდი ციხიდან გამოსვლის შემდეგ, უბრალოდ, ანგარიშს ვუწევ კოლეგა, პარტნიორი პარტიების წარმოამადგენლებს, ვინც დაინტერესებულია გამარჯვებით. ჩემთვის მთავარია შედგეს გამარჯვების კამპანია. მე ყველა შემთხვევაში ვიქნები ბრძოლის ავანგარდში.

სიმართლე გითხრათ, თბილისის მერობის კანდიდატობა ჩემთვის შემაფერხებელი ფაქტორი იქნება, მქონდეს შესაძლებლობა, ჩავატარო კამპანია ეროვნულ დონეზე. თუკი ხარ თბილისის მერობის კანდიდატი, ზუგდიდში ნაკლებად მოახერხებ ჩასვლას, არადა, მიმაჩნია, რომ ზუგდიდშიც უნდა ვიყო და ქუთაისშიც“, — განაცხადა მელიამ.

მელია თვლის, რომ მთავარია დიდ ქალაქებში ოპოზიციას ჰ ყავდეს საერთო კანდიდატი და სწორედ ამის ძიება მიმდინარეობს ახლა.

პოლიტოლოგი **პაატა ზაქარეიშვილი** განმარტავს, რომ ნიკა მელიას გადაწყვეტილება ლოგიკური და ტაქტიკურად გამართლებულია. მისი თქმით, შეცდომა იქნებოდა, თუ ოპოზიცია თბილისის მერის არჩევნებზე მელიას კანდიდატურას მხარს დაუჭერდა. ის სანიმუშო ლიდერი არ არის და „ზონდერკამანდირზე“ დაფუძნებული კონცეფცია აქვს. ზონდერკამანდირისთვის კი პოლიტოლოგს თბილისი არ ემეტება. ასევე ბოლო დროს „ნაციონალები“ და განსაკუთრებით მელიამ არც ერთი ნათქვამი სიტყვა არ შესრულა და როგორც პოლიტიკური ფიგურა დაზიანდა. ამიტომ მერობის კანდიდატად დაყენება და ისევ წაგება მის პოლიიტკურ კარიერას საერთოდ გააცამტვერებს. ამას, როგორც ჩანს, თავადაც მიხვდა და საბოლოო გადაწყვეტილება ამიტომაც მიიღო.

„ნიკა მელია სანიმუშო ლიდერი ნამდვილად არ არის. ამ ადამიანს პოლიტიკური ინტელექტის ნატამალი არ გააჩნია და მისი კონცეფცია „ზონდერკამანდირზეა“ დაფუძნებული. ამიტომაც იყო, რომ რაც თქვა, ყველა სიტყვა უკან წაიღო. მას პოლიტიკური ხედვა და შორსმჭვრეტელობის უნარი არ გააჩნია. ამიტომ შეცდომა შეცდომაზე დაუშვა. სააკაშვილი რასაც ეუბნებოდა, იმას აკეთებდა და აკეთებს. დამოუკიდებელ ლიდერად ვერ ჩამოყალიბდა. ციხიდან გამოსვლის შემდეგ მისი რეიტინგი და პოლიტიკური თამასა დაეცა, მით უმეტეს პოლიტიკურ ველზე ახალი მოთამაშე გახარია გამოვიდა. ამიტომ მესამე ძალის მოლოდინში მყოფი ჩამოუყალიბებელი ამომრჩევლის დიდი ნაწილის ყურადღება მასზეა გადასული. მელია რეიტინგული მაშინ იყო, როცა ციხეში იჯდა, ახლა მისი პოლიტიკური ფასი დაეცა და გაუფასურდა. ამიტომ სწორად მიხვდა თავადაც, რომ თბილისში კალაძესთან შანსები არა აქვს და თავი კიდევ ერთხელ რაღაზე გაიმეტოს“, — ამბობს ზაქარეიშვილი.

ანალიტიკოსი **რამაზ საყვარელიძე** ამბობს, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან თბილისის მერობის საერთო ოპოზიციურ კანდიდატად ნიკა მელიას არ დაყენება ლოგიკური და ტაქტიკურად გამართლებული გადაწყვეტილებაა. საყვარელიძე ამბობს, რომ, დიდი ალბათობით, „ოცნება“ მერობის კანდიდატად ისევ კალაძეს დაასახლებს, ეს კი მელიასთვის ისევ წაგებულ ბრძოლაში შესვლას ნიშნავს. ამიტომ კიდევ ერთი მარცხი მისთვის, როგოც პოლიტკური ფიგურისთვის, გამანადგურებელი იქნება. 7-თვიანი ბოიკოტის შემდეგ ენმ ახლა საუკეთესო ფორმაში არ არის, მისთვის მთავარია „ოცნებამ“ 43%-იანი ბარიერი ვერ გადალახოს. ამიტომ ბრძოლა იქნება არა ადგილობრივი არჩევნებისთვის, არამედ — რიგგარეშე არჩევნები დაინიშნოს ან არ დაინიშნოს. საყვარელიძე ამბობს, რომ ახლა როგორც ხელისუფლებისთვის, ისევე ოპოზიციისთვის მთავარ საფრთხეს გიორგი გახარია წარმოადგენს. ადგილობრივ არჩევნებში ხელისუფლებას ეშინია, რომ ის მათ ელექტორატს გაუყოფს და 43%-იან ბარიერს ვერ გადალახავენ. ოპოზიციას კი ეშინია, რომ მათი ამომრჩევლის გადაბირებას შეძლებს. ამიტომ თვითმმართველობის არჩევნები ბრძოლის სრულიად სხვა ფორმას იღებს და შეიძლება ითქვას, რომ თბილისს ოპოზიცია მმართველ გუნდს უთმობს. თუმცა რეგიონებში სიტუაცია გაცილებით სხვანაირად იქნება.

„თუკი ენმ ფიქრობს, რომ მისი ბრძოლოს მთავარი ტაქტიკა ახლა „ოცნებისთვის“ 43%-ის ვერაღებაა, რა თქმა უნდა, ლოგიკური გათვლაა. მელია სწორად მიხვდა, თუკი თბილისის მერობის კანდიდატი ისევ კალაძე იქნება, ეს ბრძოლა ოპოზიციას წაგებული აქვს. ამიტომ მთელი რესურსი უკვეს წაგებული ბრძოლისკენ რატომ უნდა მიმართონ? შესაბამისად, თბილისს ხელისუფლებას და კალაძეს დაუთმობენ, ხოლო მთელი ძალის მობილიზებას რეგიონებისკენ მიმართავენ. ენერგიას და ელექტორალურ რესურს იმ თვითმმართველობით ორგანოებისკენ გადაისვრიან, სადაც იციან, რომ უფრო მეტი შანსები აქვთ.

თუმცა ახლა ხელისუფლებისთვისაც და ოპოზიციისთვისაც მთავარი საფრთხე ექსპრემიერი გიორგი გახარიაა. საქმე ისაა, რომ „ოცნებას“ მისი გამოჩენისთანავე სერიოზული ისტერიკა აქვს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მათ წაგების ეშინიათ და იციან, ამის რეალური საფრთხე არსებობს. რაც შეეხება ოპოზიციას და ენმ-ს, მათი მუდმივი მარცხის გამო მათ ამომრჩეველში ნიჰილიზმი გაჩნდა. პატარა პარტიებზე საერთოდ არ ვსაუბრობ. შესაბამისად, ენმ-საც და ხელისუფლებასაც უნდა, რომ გახარია თავიანთ დაპირისპირებაში გათქვიფონ. „ოცნება“ მას „ნაციონალებისკენ“ უჯიკებს, ენმ-ი კი პირიქით — მათკენ, თუმცა უფრო თავშეკავებულია. ვხედავთ, რომ „ოცნება“ ამ ტაქტიკით პირიქით უფრო ზიანდება და გახარიას აძლიერებს. ამიტომ „ნაცებიც“ და „ოცნებაც“ ხვდებიან, რომ ეს დაპირისპირება მხოლდო მათ შორის აღარ არის. ხოლო გახარია თუ მესამე ძალად ჩამოყალიბდა, ქვეყანაში სრულიად ახალი პოლიტიკურ რელობას ვიღებთ“, — ამბობს საყვარელიძე.

ლიკა ბერიკაშვილი

ყველაზე „პრინციპული“ პარტია მიშელის დოკუმენტზე ხელმოსაწერად ემზადება

ამერიკული ალიყური ნაციონალებს!

ამერიკაში პომპეზურად წასულ „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს, როგორც ჩანს, სენატორებმა ალიყური უთავაზეს და ყურიც აუწიეს, რის შემდეგაც მათ შარლ მიშელის დოკუმენტზე ხელმოწერა არ გამორიცხეს. დასავლეთისგან დატუძსული ენმ-ი ახლა ცდილობს დოკუმენტს ხელი ისე მოაწეროს, რომ რამენაირად სახე ბოლომდე არ დაკარგოს.

ისედაც მძიმე მდგომარეობაში მყოფი პარტია, რომელმაც, 7 თვის განმავლობაში, ყველა სიტყვა უკან წაიღო, ცდილობს, ამომრჩევლის თვალში საბოლოოდ არ გაკოტრდეს.

აშშ-ში ვიზიტად მყოფმა „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა **თინა ბოკუჩავამ** მედიასთან განაცხადა, რომ დიდია ინტერესი 19 აპრილის შეთანხმების მიმართ, რადგან რეფორმების დღის წესრიგი ამან უნდა განაპიროობოს. მისივე თქმით, „მას შემდეგ, რაც „ქართული ოცნება“ „ამნისტიის შესახებ“ ამ მავნებლურ კანონს მიიღებს, რასაც შეთანხმების დოკუმენტზე ხელმომწერი პარტიებიც არ უჭერენ მხარს, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ შეძლებს, დოკუმენტის სულისკვეთებას შეუერთდეს, ვინაიდან „ნაციონალური მოძრაობა“ დოკუმენტის დანარჩენ ვალდებულებებს აბსოლუტურად იზიარებს“.

ამერიკაში ამდენი ხნის ყოფნის მიუხედავად ნიკა მელიას და ენმ-ის დელეგაციას მაღალ პოლიტიკურ ელიტასთან შეხვედრები არ ჰქონია. როგორც ჩანს, ენმ-ს მიშელის დოკუმენტზე ხელმოწერის აუცილებლობა სენატორების თანაშემწეებმა და მათმა აპარატის წარმომადგენლებმა გადასცეს. ამიტომაც გაჩნდა ეჭვი, რომ მელია ამერიკაში არა საკუთარი სურვილით, არამედ ამერიკელების მოთხოვნით წავიდა, სადაც გასაგებად და ზუსტად აუხსნეს, რომ თუ დოკუმენტზე ხელს არ მოაწერენ, მათ ამ შეთანხმებით მიღწეულ პირობებზე პრეტენზია ვერ ექნებათ.

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრების განცხადებას, რომ ისინი შარლ მიშელის დოკუმენტზე ხელმოწერას არ გამორიცხავენ, ამნისტიის ჩანაწერის გამოკლებით, გამოხმაურება მოჰყვა მმართველ პარტიაში.

„თუ ვართ თანახმა, თანახმა ვართ მთლიან დოკუმენტზე. თუ იღებენ პასუხისმგებლობას, უნდა აიღონ მთლიან დოკუმენტზე“, — განაცხადა პარლამენტის ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **გივი მიქანაძემ**.

„ქართული ოცნების“ წევრი **ალუდა ღუდუშაური** მიიჩნევს, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ „გადამგდები ძალაა“ და მიცემულ პირობებს არ ასრულებს: ანალიტიკოსი **გია აბაშიძე** ამბობს, რომ რასაც „ნაციონალური მოძრაობა“ იტყვის, ყველაფერს მაინც პირიქით აკეთებს. აბაშიძე აცხადებს, რომ, როგორც ჩანს, ენმ-ს ამერიკაში ყურები აუწიეს და იძულებულები არიან მიშელის დოკუმენტს ხელი მოაწერონ. ნიშანდობლივია, რომ ამის შესახებ ამერიკაში მყოფმა ქალბატონმა თინა ბოკუჩავამ

კელი დეგნანი: პარლამენტს ახლა აქვს ვალდებულება და პასუხისმგებლობა, შეაჩეროს მოსამართლეების დანიშვნის პროცესი!

— ამის შესახებ საქართველოში აშშ-ის ელჩმა, კელი დეგნანმა მოსამართლეების დანიშვნის პროცესთან დაკავშირებით განაცხადა.

მისი თქმით, 19 აპრილის შეთანხმებით, პოლიტიკურმა პარტიებმა აიღეს ვალდებულება, რომ მოსამართლეთა დანიშვნა შეჩერდებოდა სასამართლო სისტემაში რეფორმების გატარებამდე.

„შეთანხმება ითვალისწინებს ამ პროცესის შეჩერებას რეფორმების ამოქმედებამდე. ისინი ასევე შეთანხმდნენ, რომ რეფორმების ამოქმედებამდე იქნება აქტიური დებატები იმაზე, თუ რა ტიპის სასამართლო რეფორმებია საჭირო. ეს არის ის, რასაც ჩვენ ველოდებით. შეთანხმება შეთანხმებაა. ისინი აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს და სასამართლო რეფორმაზე დებატების გამართვამდე ამ პროცესის შეჩერებაზე შეთანხმდნენ.

საქართველოს კონსტიტუცია მკაფიოდ აცხადებს, რომ სასამართლო უნდა იყოს დამოუკიდებელი. ეს არის ძალიან სერიოზული ვალდებულება და დაპირება ქართველი ხალხისთვის. სასამართლოს დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად კონსტიტუციით გათვალისწინებული პროცედურები ხორციელდება „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონისა და სხვა კანონების საშუალებით, რომლებშიც ცვლილებების შეტანასაც ახლა პარლამენტი განიხილავს. პარლამენტს ახლა აქვს ვალდებულება და პასუხისმგებლობა, როგორც კონსტიტუციით, ისე 19 აპრილის შეთანხმებით, შეაჩეროს დანიშვნის პროცესი, უზრუნველყოს, რომ არის დებატები, არის წინა რეფორმების შეფასება, რასაც ასევე ითვალისწინებს 19 აპრილის შეთანხმება, რათა ქართველები იყვნენ დარწმუნებულები, რომ მათი სასამართლო სისტემა არის ისეთი ძლიერი და დამოუკიდებელი, როგორც ამას კონსტიტუცია ითხოვს“, — განაცხადა კელი დეგნანმა.

ელჩმა იმედი გამოთქვა, რომ დეპუტატები მათზე დაკისრებულ პასუხისმგებლობას სერიოზულად მიუდგებიან.

მიხეილ დუნდუა: მდგრადი განვითარების რეიტინგში საქართველომ მსოფლიოს საუკეთესო შედეგი აჩვენა!

— თქვა ფინანსთა მინისტრის მოადგილემ, მიხეილ დუნდუამ 2021 წლის მდგრადი განვითარების რეიტინგში საქართველოს მიერ მიღწეული შედეგების შეფასებისას.

მისი განცხადებით, კემბრიჯის უნივერსიტეტის მიერ გამოქვეყნებული მდგრადი განვითარების 2021 წლის ანგარიში, პოზიტიური გზავნილია ინვესტორებისთვის.

„ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანი წარმატებაა მდგრადი განვითარების ინდექსი, რომელსაც კემბრიჯის უნივერსიტეტი აქვეყნებს. ეს არის სამაგიდო წიგნი ინვესტორებისთვის და მნიშვნელოვანი ინდიკატორი, თუ როგორ ვითარდება ქვეყანა, რამდენად ასრულებს იგი მდგრადი განვითარების მიზნებს, რომელიც მსოფლიოში გაეროს მიერ არის დასახული. საქართველომ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია განათლების სფეროში. კვლევის შეფასებით, საქართველო „ხარისხიანი განათლების“ მაჩვენებლით, მსოფლიოს 165 ქვეყნის რეიტინგში 30 და ევროპის 10 საუკეთესო ქვეყანას შორის მოხვდა, სადაც მდგრადი განვითარების მიზანი მიღწეულია. მნიშვნელოვანია წარმატება ფინანსური მართვისა და მაკროეკონომიკური განვითარების კუთხით, ისეთ პარამეტრში, როგორიცაა — კორპორაციული გადასახადების ტვირთი, სადაც საქართველომ მსოფლიოში საუკეთესო შედეგი აჩვენა. მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის კუთხით, საქართველო ევროპის საუკეთესო ოცეულში მოხვდა. საკუთრების უფლების დაცვის მიმართულებით, ევროპის საუკეთესო ოცეულში, მე-14 ადგილზეა. გაუმჯობესებაა მთელ რიგ სხვა პარამეტრებში, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ ქვეყანა სწორი მიმართულებით ვითარდება. ბუნებრივია, ქვეყანა გააგრძელებს წინსვლას და დარწმუნებული ვარ, მომავალ წელსაც რეიტინგში რამდენიმე ადგილით დაწინაურდება“, — აღნიშნა ფინანსთა მინისტრის მოადგილემ.

თბილისი-საგარეჯო-ბაკურციხის გზის პროექტირება დასრულდა, ესაა 85 კმ-იანი მონაკვეთი, 4-ზოლიანი მაგისტრალური გზა, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია როგორც საავტომობილო გზების ინფრასტრუქტურის, ისე კახეთის რეგიონის განვითარებისთვის, — ამის შესახებ, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ირაკლი ქარსელაძემ განაცხადა.

„ამ გზის მნიშვნელოვანი მონაკვეთი, სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდება და სამ ლოტად დაიყოფა. ანალიზის შედეგად, როგორც საინჟინრო-ტექნიკური, ასევე ფინანსური თვალსაზრისით, შესაძლებელია, რომ პირველ ლოტზე ქართულ კომპანიებს მიეცეთ ტენდერში პირდაპირ მონაწილეობის შესაძლებლობა. ესაა 4 კმ-მდე ოთხზოლიანი ავტომაგისტრალი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია გამოცდილების შეძენის თვალსაზრისით და შემდგომში, კიდევ უფრო დიდ ტენდერებში მონაწილეობისთვის. 74 მილიონი ლარია საორიენტაციო ბიუჯეტი მხოლოდ ამ ლოტისთვის და ასეთი ზომის ტენდერი ჩვენ სახელმწიფო შესყიდვით ჯერ არ გამოგვიცხადებია,“ — აღნიშნა ირაკლი ქარსელაძემ.

კახეთში საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზის მშენებლობა მალე დაიწყება!

მისივე თქმით, დანარჩენი ორი ლოტის ღირებულება 576 მილიონი ლარია. ამ შემთხვევაში, ტენდერები საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების წესების დაცვით ჩატარდება და აქაც ქართულ კომპანიებს ერთობლივი საწარმოების შექმნით შეეძლებათ კონკურსში მონაწილეობა.

„ბაკურციხიდან ჩუმლაყის მიმართულებით, ე.წ. გურჯაანის შემოვლითი გზა, მალე დასრულდება და შევა ექსპულატაციაში, რის შედეგადაც ავტოტრანსპორტს, საჭიროების გარეშე, აღარ მოუწევს გავლა ქალაქ გურჯაანსა და მუნიციპალიტეტის 6 სოფელში, ხოლო გადაადგილების დრო განახევრდება. ტენდერი უკვე გამოცხადებულია ბაკურციხე-წნორის მიმართულებით, სადაც ახალი გზის მშენებლობას ვგეგმავთ, რადგან არსებული ვერ აკმაყოფილებს საგზაო უსაფრთხოების სტანდარტებს. ყველა ეს სამუშაო ახალ შესაძლებლობებს გააჩენს ადგილობრივებისთვის და პოზიტიურ როლს შეასრულებს რეგიონის განვითარებისთვის,“ — თქვა ირაკლი ქარსელაძემ.

გვამცნო. თუმცა პარტიაში ერთმანეთს სრულიად აცდენილები არიან. ბოკუჩავა ერთს ამბობს, ხოლო დავით კირკიტაძე მეორეს. კირკიტაძე საერთოდ აზრზე არაა, აპირებს თუ არა ენმ მიშელის დოკუმენტზე ხელმოწერას.

„ადგილობრივი არჩევნები კარზეა მომდგარი, ენმ-ს და მის ჩრდილქვეშ მყოფ პარტიებს ეს არ ადარდებთ. მათ იმედი აქვთ, რომ 43%-ს „ოცნება“ ვერ აიღებს და რიგგარეშე არჩევნები დაინიშნება. თუმცა „ნაციონალების“ აბდაუბდა და ზიგზაგური პოლიტიკური განცხადებებით იმ ხმებსაც დაკარგავენ, რაც 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე მიიღეს. ისევ იმ ტექსტით დაიწყებენ საუბარს, რომ არჩევნები გაყალბდა და მიიტაცეს“, — ამბობს აბაშიძე.

იგი იხსენებს ამერიკაში ვიზიტის დროს ენმ-ის დელეგაციის ხმამაღალ განცხადებას, რომ ისინი ადგილობრივი არჩევნებისთვის ამერიკელი დამკვირვებლების მობილიზებას მაქსიმალურად მოახდენდნენ. არადა ამას ძირითადად ხელისუფლება აკეთებს. აბაშიძე არ გამორიცხავს, რომ მელია ამერიკაში არა საკუთარი სურვილით წავიდა, არამედ ის დაიბარეს და იძულებული გახდა, ჩასულიყო.

„ჩვენ ვნახეთ, რომ ენმ-ს მიშელის დოკუმენტის დამახინჯებული ვერსიის წარმოდგენა უნდოდა — მისი რევიზია და ფაქტობრივად გადაკეთება. ეს არ გამოუვიდათ, მაგრამ მაინც ხელს მოაწერენ. ყვიროდნენ, რომ მიშელის დოკუმენტი შემოგვატენეს და ადგილზე პარტიებმა არ წაიკითხესო. თუ არ უნდოდათ ხელს რაღას აწერდნენ? ამიტომ ეს ყველაფერი ტრაგი-კომიკურია. რაც კი პოლიტიკაში ამ ბოლო დროს აბდაუბდა მოხდა, ეს არის „ნაციონალური მოძრაობის“ ტაქტიკა, რომელსაც მერე თავადვე ღალატობენ. ამბობენ ერთს და მეორეს აკეთებენ. გასაგებია მათ ჰყავთ მხარდამჭერები, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, იმათაც ყელში ამოუვათ. თუკი სხვა ალტერნატიული ძალა გაჩნდება, ენმ-ის მდგომარეობა ძალიან ცუდად იქნება. ამის კონტურები კი უკვე გამოკვეთილია“, — ამბობს აბაშიძე.

ლიკა ბერიკაშვილი

ლიბერთი ბანკი პენსიონერებს ვეღარ გაძარცვავს?!

დეპუტატ გიორგი ვაშაძის საკანონმდებლო ინიციატივის დამტკიცების შემთხვევაში ლიბერთი ბანკს პენსიების გაცემის ექსკლუზიური უფლება ერთმევა, რამაც შესაძლოა საპენსიო სესხები გააიაფოს. 10 წელზე მეტია, საქართველოში პენსიონერებს ექსკლუზიურად ლიბერთი ბანკი ემსახურება. როგორც ფილიალიდან, ასევე ბანკომატიდან პენსიის გამოტანაზე საკომოსიო 0%-ა, პენსიონერები პრობლემას სესხის აღებისას აწყდებიან. საპროცენტო განაკვეთი საპენსიო სესხზე 30%-ს აჭარბებს.

თავის დროზე ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი, რის გამოც ლიბერთი ბანკმა პენსიებიც გაცემის უფელბა მიიღო, ფილიალების ფართო ქსელი გახდა, თუმცა ლიბერთის მსგავსად „საქართველოს ბანკი“ და დღეს უკვე „თიბისი ბანკიც“, ოკუპირებული ტერიტორიების გარდა, მთელ საქართველოშია წარმოდგენილი.

იმის გათვალისწინებით, რომ კომერციული ბანკები, როგორც წესი, 70 წელს გადაცილებულ პირებზე სესხს არ გასცემენ, პენსიონრებისთვის ერთადერთ საშუალებად ლიბერთი ბანკი რჩება, სადაც ნომინალური საპროცენტო განაკვეთი 30.6%-ს შეადგენს, რაც ჩვეულებრივ სამომხმარებლო სესხთან შედარებით 1.5-ჯერ, 2-ჯერ მეტია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი კი 44%-ს აღწევს, რაც ასევე სხვა იმავე მოცულობის სასმომხარებლო სესხებთან შედარებით საშუალო 2-ჯერ მეტია.

2020 წლის მდგომარეობით, ასაკით პენსიონერთა რაოდენობა 784 000-ს შეადგენდა და მათი ნახევარი საპენსიო სესხით სარგებლობდა. ეფექტური 40%-ითაც რომ დაანგარიშდეს 4 წელიწადში დასაბრუნებელი თანხა ორმაგდება და პირობითად 1000 ლარიანი სესხი 2000 ლარი ხდება.

მონოპოლიური გარემო ნებისმიერ შემთხვევაში პროდუქტზე და მომსახურებაზე ფასს ზრდის, გამონაკლისი არც საპენსიო სესხია და თუ პენსიონერს ბანკის არჩევის უფლება თავად მიეცა, ადვილი შესაძლებელია გადაწყვეტილებამ საპენსიო სესხები მართლაც გააიაფოს. ჩვეულებრივ სამომხმარებლო სესხთან შედარებით, სავარაოდოდ, ის მაინც უფრო ძვირი დარჩება, მაგრამ არსებული განაკვეთი დაიწევს.

საპენსიო სესხზე საპროცენტო განაკვეთის შემცირებაზე საკანონმდებლო ორგანოში გიორგი ვაშაძესთან ერთად ალეკო ელისაშვილის პარტია „მოქალაქეებიც“ მუშაობს, რისთვისაც ქართული ოცნების დეპუტატებთან და ლიბერთი ბანკის წარმომადგენელებთან ერთად სპეციალური ჯგუფია შექმნილი.

როინ მეტრეველი

დიდგორის ბრძოლა

ეძღვნება დიდგორის ბრძოლის 900 წლისთავს

„... ქმნა წყობანი დიდნი და ხმაგასმენილი... იგი დიდი ძლევაჲ“

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი

დიდგორის ბრძოლა

„... ხელი მაღლისა შეეწეოდა და ძალი ზეგარდმო ჰფარავდა მას;

და წმიდა მოწამე გიორგი განცხადებელად და ყოველთა სახილველად წინა უძღოდა მას და მკლავითა თჳსითა მოსვრიდა... უსჯულოთა“

„ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“

ქართველი ხალხის ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია დიდგორის ბრძოლას. ამ ომს იმთავითვე მიუქცევია ისტორიკოსების განსაკუთრებული ყურადღება. ამიტომაა, რომ ცნობები ამ ბრძოლის შესახებ და აგრეთვე მისი შეფასება გვხვდება როგორც ქართველი, ისე უცხოელი ისტორიკოსების ნაშრომებში. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, არაბი აჰმად იბნ ჲუსუფ იბნ ყალი ალ-აზრაკ ალ-ფარიკი, იბნ ალ-ასირი (ამ ავტორის „მსოფლიო ისტორია“ დაამუშავა ფრანგმა აღმოსავლეთმცოდნემ მ. დეფრემერიმ), გოტიე, მატთეოს ურჰაეცი – აი, არასრული სია იმ ავტორებისა, რომლებიც დიდგორის ბრძოლას შეეხნენ. არ არის შემთხვევითი, რომ აღნიშნული ბრძოლის მრავალმხრივ მნიშვნელობას, სამხედრო თუ სხვა თვალსაზრისით, შეეხო ფეოდალური საქართველოს სამხედრო ხელოვნების ისტორიის თითქმის ყველა მკვლევარი.

ფართო მასშტაბის ენერგიული ღონისძიებების გატარების შემდეგ, საქართველოს სამეფო კარი აქტიური ბრძოლის ტაქტიკას ირჩევს მომხდური მტრის დასამარცხებლად და საქართველოს საბოლოოდ შემოსამტკიცებლად (საქართველოს დედაქალაქი თბილისი ჯერ კიდევ არ იყო შემოერთებული). 1120 წლიდან დავით აღმაშენებელმა საბრძოლო მოქმედება საქართველოს ფარგლებს გარეთ (ბორტია, ყაბალა, აშორნია, სევგელამეჯე, ბარდავი, ხუნანი) გადაიტანა.

საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკაში ძირითად საკითხად მაინც თურქ-სელჩუკების პრობლემა იდგა. სწორედ აქედან გამომდინარეობდა და განისაზღვრებოდა დავით აღმაშენებლის საგარეო პოლიტიკა, კერძოდ ის ურთიერთობები, რომლებიც საქართველოს ჰქონდა რუსეთთან, ბიზანტიასთან, ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთი კავკასიის ხალხებთან, აღმოსავლეთის ჯვაროსნულ სამეფო-სამთავროებთან.

თურქ-სელჩუკთა უკიდურესი შევიწროება XII საუკუნის ოციან წლებში მიაჩნია დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს დიდგორის ბრძოლის გამომწვევ მიზეზად: „ესევითართა ჭირთაგან შეიწროებულნი თურქმანნი და კუალად ვაჭარნი განძელ-ტფილელ-დმანელნი წარვიდეს, და ყოველსა სპარსეთსა შეიღებნეს შავად, რომელთამე პირნი, და რომელთამე ხელები, და რომელნიმე სრულიად; და ესრეთ მოოთხრეს ყოველნი ჭირნი, მოწევნულნი მათ ზედა, რომლითა აღძრნეს წყალობად თჳსა, და იძმნა გლოვა ფრიადი შორისა მათსა“ (ძართლის ცხოვრება, 2008, გვ. 323-324).

თურქ-სელჩუკების საქართველოდან განდევნა მიაჩნია დიდგორის ბრძოლის მიზეზად სომეხ ისტორიკოსს მატთეოს ურჰაეცს. იგი კონკრეტულად ასახელებს 1121 წელს სელჩუკთა დიდი ლაშქრის დამარცხებას დავით აღმაშენებლის მიერ. მატთეოს ურჰაეცი გადმოგვცემს, რომ ამ მარცხის შემდეგ „დარჩენილებმა თურქთა ჯარისაგან დიდი უბედურების გამო შემოიხიეს ტანისამოსი, მიწას იყრიდნენ თავში და შავად შემოსილნი თავდაუბურავნი ხმამაღლა მოთქვამდნენ, განძაკში თავიანთ სულთანთან მელიქ ტაფარის ძესთან ხმამაღლა ჩიოდნენ და ტიროდნენ თავიანთ დაღუპვას, ხოლო სხვებმა მიაღწიეს არაჰკთა ოლქს კარმიანის ქვეყანაში, ამირა ხაზის არდუხის ძეს და დიდი ტირილით თავიანთი მომხდარი დაღუპვა უამბეს“. ამ უკანასკნელმა კი ბრძანა შეკრება დიდი ლაშქრისა და საქართველოზე გალაშქრება. მატთეოს ურჰაეცის ცნობა სელჩუკთა დიდი ლაშქრის (30000) დამარცხების შესახებ ჩვენთვის მეტად ძვირფასია, რადგან იგი დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს არ მოეპოვება. უტყუარი ფაქტია, რომ საქართველოს სამეფო კარის შეტევითი ბრძოლების წყალობით მართლაც მძიმე დღეში ჩავარდნენ თურქ-სელჩუკები და სრულიად არ არის გასაკვირი, რომ მოამზადეს კოალიციური ლაშქრობა დავით აღმაშენებლის წინააღმდეგ. სხვა ისტორიული წყაროებიც ქართველთა მიერ მუსლიმთა შევიწროებას ასახელებენ დიდგორის ბრძოლის გამომწვევ მიზეზად.

ასეთი საერთო საფუძვლის მიღმა დიდგორის ბრძოლას გააჩნდა უფრო კონკრეტული მიზეზები, რაც გამოხატული იყო დავით აღმაშენებლის პოლიტიკაში, მის დამოკიდებულებაში საქართველოს ქალაქებთან და კერძოდ, თბილისთან (შ. მესხია, „ძლევაჲ საკვირველი“, გვ. 87). დავით აღმაშენებელი თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ წარმატებით წარმართული ბრძოლების პარალელურად იწყებს ბრძოლას ქალაქ-რესპუბლიკების, კომუნების გაუქმება-დამორჩილებისათვის. კომუნების არსებობა XI-XII საუკუნეების მიჯნაზე საქართველოს ქალაქებში კანონზომიერი, იმ პერიოდის საშინაო და საგარეო პროცესთა მიერ გაპირობებული მოვლენა იყო. სამეფო ხელისუფლება გარკვეულ პერიოდში თავისი ინტერესებისათვის იყენებდა ქალაქებს (მათ შორის ქალაქ-კომუნებსაც) – ამ ახალ სოციალურ-ეკონომიკურ ძალას – ცენტრალური ხელისუფლებისადმი დაპირისპირებულ დიდგვაროვან ფეოდალთა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში (შ. მესხია, „საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში“, თბ., 1962, გვ. 81). ქალაქები, თავის მხრივ, ხელს უწყობდნენ ერთიანი ხელისუფლების გაძლიერებას, ცდილობდნენ ფეოდალური დაქუცმაცებულობის მოსპობასა და ქვეყნის გაერთიანებას.

ამ მიზეზთა გამო, დავით აღმაშენებლის ბრძოლა ეტაპებად წარმართა საქართველოს სამეფო კარმა. პირველი და მეტად მნიშვნელოვანი ეტაპი XII საუკუნის ოციანი წლების დასაწყისისათვის დასრულდა, როცა დავით აღმაშენებელმა თავის მორჩილებაში მოიყვანა ისეთი მნიშვნელოვანი ქალაქები, როგორიცაა სამშვილდე, რუსთავი, ლორე, გიში და სხვ. მაგრამ საქართველოს უპირველესი ქალაქი თბილისი ჯერ კიდევ არ იყო შემოერთებული, ასევე დამოუკიდებლად იყო დმანისიც.

მიუხედავად დავით აღმაშენებლის განსაკუთრებულად ფრთხილი დამოკიდებულებისა თბილისისადმი, ქალაქის იმდროინდელმა ხელისუფლებამ – „უხუცესებმა“ კარგად იგრძნეს დამოუკიდებლობის დაკარგვის რეალური საფრთხე და ყველანაირად ცდილობდნენ თავიდან აეცდინათ იგი.

ქალაქების დამორჩილების ახალი ეტაპი იყო დავით აღმაშენებლის მიერ ბრძოლის დაწყება თბილისისათვის, რაც პრაქტიკულად 1120 წლიდან ხდება (ამ დროიდან იწყება დავით აღმაშენებლის მიერ თბილისის შევიწროება). პირველი წარმატება თბილისის შემოერთების გზაზე იყო ის ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ თბილისელებმა (საქალაქო თვითმმართველობამ) ათი ათასი დინარი ხარკი იკისრეს საქართველოს მეფის სასარგებლოდ და ამასთანავე შეთანხმდნენ, რომ ამიერიდან თბილისში უნდა ყოფილიყო მეფისნაცვალი ათი მხედრით („შიჰნა“). ყოველივე ეს იმის დასტური იყო, რომ თბილისი საქართველოს მეფის მფარველობას აღიარებდა. დავით აღმაშენებელი ქ. დმანისის მიმართაც მსგავს პოლიტიკას ატარებდა. საქართველოს სამეფო ხელისუფლებასა და ქალაქებს შორის მდგომარეობა უკიდურესად მწვავდებოდა. „ქალაქთა კავშირის“ ძალები არ იყო საკმარისი საქართველოს ძლიერი ლაშქრის გასამკლავებლად, ამიტომ ეს უკანასკნელნი დახმარების ხელს მეზობელი მუსლიმური ქვეყნებისკენ იწვდიან.

ამგვარად, საქართველოს ძლიერი სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოდიოდნენ, ერთი მხრივ, საქართველოდან ფეხამოკვეთილი თურქ-სელჩუკები, ხოლო მეორე მხრივ, დამოუკიდებელი ძალაძები. ამ ვითარებამ განაპირობა არსებითად დიდგორის ბრძოლა.

დიდგორის ბრძოლის განმაპირობებელი ძირითადი მიზეზი იყო დავით აღმაშენებლის მიერ საქართველოდან თურქ-სელჩუკების განდევნა, დამოუკიდებელი ქალაქების დამორჩილებისათვის წარმატებული ბრძოლა და შექმნილი საგარეო ვითარება, რომელიც აიძულებდა მუსლიმური სამყაროს მესვეურთ, ძლიერი საქართველოს სახელმწიფოს სახით თავიანთი დიდი მტერი დაენახათ და ერთად შეკავშირებულთ სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოეცხადებინათ მისთვის.

აძვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ დამოუკიდებელი საძალაძო თვითმმართველობის არსებობა საქართველოს ძლიერი ფეოდალური მონარქიის შიგნით დამოუკიდებელი ერთეულის ყოფნას ნიშნავდა, ეს კი, თავის მხრივ, ანტიფეოდალური სოციალური ძალების განმტკიცების ნიშანი იყო. დავით აღმაშენებლის მიერ შექმნილ ძლიერ თვითმპყრობელურ ხელისუფლებას და ერთიან, ცენტრალიზებულ ძლიერ მონარქიას აღარ შეეძლო დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულების მოთმენა. ამიტომ საქართველოს სამეფო კარი, დავით აღმაშენებელი, იწყებენ ბრძოლას ერთ დროს თავის მოკავშირე ძალაძ-რესპუბლიკების (კომუნების) წინააღმდეგ, მათი გაუქმებისა და დამორჩილებისათვის.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №131-132

ქალაქი თბილისი ჯერ კიდევ არ იყო შემოერთებული, ასევე დამოუკიდებლად იყო დმანისიც...

წინ, წინაპრებისკენ!

უკიდებლობის შენარჩუნებისათვის, ე.ი. მისი მოსახლეობის კლასობრივმა ინტერესებმა განსაზღვრეს ქალაქის ამგვარი (მუსლიმან მფლობელებზე გეზის აღება, – რ.მ.) ორიენტაცია და არანაციონალურმა მომენტმა – მაჰმადიანთა სიჭარბემ ქალაქში, ან კიდევ, თურქ-სელჯუკთა შემოსევების შემდეგ ქართველებსა და მაჰმადიანებს შორის გამწვავებულმა ურთიერთობამ“ (შ. მესხია, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, გვ. 89). საქალაქო ცხოვრებაში ამ დროისათვის თბილისში ქრისტიანული (ძირითადად ქართული, ნაწილობრივ სომხური) მოსახლეობის ძლიერი ფენა იყო. არც ის უნდა უგულვებელვყოთ, რომ თბილისში დიდი რაოდენობით უნდა ყოფილიყო ებრაული მოსახლეობაც. მუსლიმურ მოსახლეობას რომ მნიშვნელოვნად სჭარბობდა ქრისტიანული მოსახლეობა იქიდანაც ჩანს, რომ დავით აღმაშენებელმა თბილისის შემოერთების უმალ სწორედ მოსახლეობის ამ ნაწილისგან მოითხოვა, არ შეევიწროებინათ მუსლიმები. საერთოდ, ყველა ერის მოსახლეობას, რომელიც თბილისელად, ქალაქის მკვიდრად ითვლებოდა, ერთი მიზანი ჰქონდა. ამ მიზნებს კი ძირითადად მათი კლასობრივი პოზიცია განსაზღვრავდა. ივ. ჯავახიშვილმა სრულიად მართებულად მიუთითა ქალაქის (თბილისის) სხვადასხვა ეროვნების მოსახლეობის ინტერესთა ერთობლიობის შესახებ.

გადამწყვეტი როლი ქალაქის მოსახლეობის მოქმედებისას კერძოდ, განძელ-თბილელ-დმანელთა მოქმედებისას ეკუთვნოდა დამოუკიდებელი თვითმმართველობის შენარჩუნების ინტერესებს და არა ქალაქის მუსლიმანური ან რომელიმე სხვა მოსახლეობის სურვილებს.

ალ-ფარიკის ცნობა თბილისში დავით აღმაშენებლის ნაცვლის („შიჰნა“) გამოგზავნის შესახებ, თავის მხრივ ნიშნავდა თბილისელთაგან დავით აღმაშენებლის გარკვეული მფარველობითი უფლებების აღიარებას. დავით აღმაშენებელი, ცხადია, თბილისის მთლიანად დამორჩილებისთვის ემზადებოდა, ძალაძი კი თავის მხრივ მოპოვებული დამოუკიდებლობის შენარჩუნებისთვის იბრძოდა. ამიტომ იყო, რომ ძალაძის მცხოვრებნი (რა თქმა უნდა, ძირითადად მისი ზედა ფენები) საქართველოს ძლიერი მეფის წინააღმდეგ დამხმარე ძალას ქვეყნის საზღვრებს გარეთ ეძებენ. ნიშანდობლივია, რომ დავით აღმაშენებლის წინააღმდეგ გამოდის არა მხოლოდ თბილისი, არამედ დმანისიც (აქამდე ჯერ მეფეს არ მიუღწევია, მაგრამ, როგორც ჩანს, დმანელები გრძნობენ ამგვარ საშიშროებას) და კიდევ უფრო მეტი, საქართველოს მეზობელი ძვეყნის ძალაძებიც, კერძოდ განძა. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მიხედვით, თურქ-სელჩუკების მსგავსად, „კუალად ვაჭარნი განძელ-ტფილელ-დმანელნი“ შევიწროებული არიან საქართველოს მეფისაგან“.





ილღაზის მხედართმთავრული ნიჭის წყალობით სასტიკად დამარცხდნენ ჯვაროსნები 1119 წელს მდ. ორონტის ნაპირას ე.წ. „სისხლიან ველზე“. ამ გამარჯვებამ იგი უკვდავად შერაცხა და აქედან მოკიდებული ეწოდებოდა ნეჯმ ად-დინ – „სარწმუნოების ვარსკვლავი“

ამგვარად, საქართველოს მეფის წინააღმდეგ თურქ-სელჩუკებთან ერთად გამოდიან ქალაქების გაერთიანებული ძალები. საგულისხმოა, რომ თურქ-სელჩუკთა და „ქალაქთა კავშირის“ თხოვნას მხარდაჭერით გამოეხმაურა მუსლიმური სახელმწიფოები და საქართველოს წინააღმდეგ დიდი კოალიცია შეიქმნა. მუსლიმურ სახელმწიფოთა ასეთ მხარდამჭერ სწრაფ გაერთიანებასა და საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოსალაშქრებლად სამზადისში უნდა დავინახოთ თვით იმ ქვეყნების მფლობელთა ინტერესებიც, ქვეყნებისა, რომელთაც ძლიერი და ცენტრალიზებული ფეოდალური საქართველო, სხვა საშინაო და საგარეო (იმდროინდელ საგარეო ვითარებას ასახელებს დიდგორის ომის მიზეზად ფრანგი გოტიე; საქართველოს დამარცხებით თურქ-სელჩუკებს ხელი გაეხსნებოდათ ანტიოქიის დამორჩილებისთვის) ფაქტორებთან (ჯვაროსნები და სხვ.) ერთად, სასიკვდილო განაჩენს უმზადებდა თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოს და ახლომდებარე მუსლიმურ ქვეყნებს.

ასე რომ, დიდგორის ბრძოლის განმაპირობებელი ძირითადი მიზეზი იყო დავით აღმაშენებლის მიერ საქართველოდან თურქ-სელჩუკების განდევნა, დამოუკიდებელი ქალაქების დამორჩილებისათვის წარმატებული ბრძოლა და შექმნილი საგარეო ვითარება, რომელიც აიძულებდა მუსლიმური სამყაროს მესვეურთ, ძლიერი საქართველოს სახელმწიფოს სახით თავიანთი დიდი მტერი დაენახათ და ერთად შეკავშირებულთ სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოეცხადებინათ მისთვის.

დახმარების საძებნელად დაძრული თურქ-სელჩუკები და განძელ-თბილელ-დმანელნი, პირველ რიგში, სპარსეთის სულთანთან მივიდნენ, ხოლო შემდეგ სხვა მუსლიმან მფლობელებს მიმართეს. მუსლიმანთა გაერთიანებული ლაშქრის საქართველოზე თავდასხმის ორგანიზატორი და წამომწყები ჩანს ერაყის სელჩუკიანთა გამგებელი, სულთანი მაჰმუდ მუჰამედის ძე (1117-1131 წწ.). იგი დაუყოვნებლივ გამოეხმაურა თბილისელთა თხოვნას. მან მიმართა **მუსლიმანებს: „ვინც კი სადმე იყო დამასკო და ალეპოდან მოკიდებული, ყველას, მოლაშქრეობის შემძლებელს“** მონაწილეობა მიეღოთ საქართველოს წინააღმდეგ ომში. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მიხედვით, **„სულტანმა მოუწოდა არაბეთის მეფეს დურბეიზს, სადაყას ძეს და მოსცა ძე თავისი მალიქი და ყოველი ძალი მისი, და აჩინა სპასალარად ელღაზი ძე არდუხისი... და უბრძანა... ამათ თანა ათაბაგსა განძისასა მისითა ძალითა და ყოველთა სომხეთისა ამირათა“.**

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის, მატთეოს ურჰაეცის, იბნ ალ-ჯაუზისა და იბნ ალ-ასირის ცნობათა შეჯერების შედეგად დგინდებიან კოალიციური ლაშქრის მეთაურები:

ნეჯმ ად-დინ ილღაზი, ბაღდადის გამგებელი, ციხე-სიმაგრე მარდინისა და ალეპოს მფლობელი, სელჩუკ მფლობელთა შორის უძლიერესი იყო. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი მას მოიხსენიებს პატივისცემით: „კაცი დაჰმანი (მარჯვე) და მრავალღონე“. მატთეოს ურჰაეცი „ზვიადსა და ძლიერს“ უწოდებს. მის მიმართ არც გოტიეა გულგრილი. სრულიად გასაგებია, რომ ფრანგი კანცლერი „უაღრესი ამპარტავნებით თავგასულად“ მიიჩნევს მას.

ილღაზის მხედართმთავრული ნიჭის წყალობით სასტიკად დამარცხდნენ ჯვაროსნები 1119 წელს მდ. ორონტის ნაპირას ე.წ. „სისხლიან ველზე“. ამ გამარჯვებამ იგი უკვდავად შერაცხა და აქედან მოკიდებული ეწოდებოდა ნეჯმ ად-დინ – „სარწმუნოების ვარსკვლავი“; ასე რომ, ნეჯმ ად-დინ ილღაზი ბრძოლებში გამოწრთობილი სახელიანი პიროვნება იყო და ამიტომაც დაინიშნა მუსლიმანთა კოალიციური ლაშქრის მთავარსარდლად.

დურბეიზ (დუბეის) სადაყასძე, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსისა და მატთეოს ურჰაეცის ცნობით, არაბეთის მეფე. „ეს იყო კაცი მხნე და მეომარი. მან დაატყვევა ქალაქი ბაღდადი და სამი ბრძოლა გადაიხადა სპარსთა სულთან ტაფარისთან, რომელიც სძლია და გაიმარჯვა“ (მატთეოს ურჰაეცი), დურბეიზ (დუბეის) სადაყასძე დასიძებია სპარსეთის ამირა ღაზის, ცოლად შეურთავს მისი ასული გოჰარ-ხათუნი. ბუნებრივია, ეს მოყვრობა გარკვეულ როლს შეასრულებდა, როცა დურბეიზ (დუბეის) სადაყას ძე ილღაზის მოწოდების უმალ შეუერთდა მის ლაშქარს.

თოღრულ-მოჰამედის ძე, ყაზვინის, ზეჯანის, გილანის, ახლისა და განძის გამგებელი. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში სულთანიც ყოფილა. ეს უნდა იყოს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მიერ „სულთნის ძედ“ მიჩნეული მელიქი (იბნ-სალ-ასირი მას მელიქ თოღრულ მოჰამედის ძეს უწოდებს) და მატთეოს ურჰაეცის მიერ ქ. განძაკში მყოფ სულთანად დასახელებული მელიქი ტაფარის ძე (1121-1122 წწ. ქ. განძას სწორედ მელიქ თოღრული ფლობდა).

თუღან არსლან კუზიანი, თურქი ამირა, ბითლისისა და არზანის პატრონი.

განძის ათაბაგი, რომელიც სულთნის ბრძანებით, „მისითა ძალითა“ გამოსულა. როგორც მიიჩნევენ, იგი განძის იმდროის მფლობელის – თოღრულ მოჰამედის ძის ათაბაგი ქენთოღდი უნდა იყოს, რომელიც ფაქტობრივად მეთაურობდა თოღრულის ლაშქარს (თოღრულ მოჰამედის ძე დიდგორის ბრძოლის დროს თორმეტი წლისა იყო და მისი ხელმძღვანელობა ფორმალური იქნებოდა).

კოალიციური ლაშქრის შემადგენლობაში დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ასახელებს **„ყოველთა სომხეთისა ამირათა“**. ესენი არიან სომხეთის ტერიტორიის ცალკეული გამგებლები – ამირები, რომლებიც სულთნის ბრძანებით ლაშქრობენ საქართველოს წინააღმდეგ. როგორც ჩანს, კოალიციური ლაშქრობის მონაწილეთა შორის ერთგვარი წინააღმდეგობაც ყოფილა, რის გამოც, ალ-ფარიკის ცნობით, არზრუმში (ეს ქალაქი იყო მოლაშქრეთა პაემნის ადგილი) მოლაშქრეებს ჩამოსცილებიან ქ. მარდინის ყადი აბულ-ფათხი და ვეზირი აბულ-თამამ-იბ-აბდუნა. ამგვარად აშკარაა, რომ სულთნის მოწოდებითა და ბრძანებით თავი მოუყრია „...სადღაცა ვინ იყო, დამასკოთ და ჰალაბითგან ამოღმართ, ყოველსა მხედრობად შემძლებელსა“. ამ დიდი ლაშქრის მთავარსარდალი ილღაზი იმ დროისათვის განუზომელი ავტორიტეტით სარგებლობდა და მის სარდლად დანიშვნას სულთნის ბრძანება ფორმალურად სჭირდებოდა, თორემ იყო შემთხვევები, როცა იგი თვით სულთანსაც არ უდებდა ტოლს. ილღაზს ემორჩილებოდა ყველა ზემოჩამოთვლილი სარდალი თავისი ლაშქრითურთ.

(გაგრძელება იძნება)

ანონსი

მომავალ ოთხშაბათს, 30 ივნისს, წაიკითხეთ:

„შეიმტკიცნენ სიმრავლითა, ვითარცა ქვისა ზღჳსა“...



„საშუალების გაჩენამდე“ ტიციანის სახლ-მუზეუმი რომ დაინგრეს!!!

შენობა, რომელშიც ტიციან ტაბიძის სახლ-მუზეუმია განთავსებული, ავარიულ მდგომარეობაშია. მწერლის შთამომავლები მუნიციპალიტეტისგან დახმარებას ითხოვენ. ისინი შიშობენ, სახლმა ვინმე არ შეიწიროს.

თბილისში, გრიბოედოვის №18-ში, ძველი სახლი დგას. თავის დროზე ის ტიციან ტაბიძის ცოლს, ნინო მაყაშვილს, ბიძამ გაატანა მზითევში. ტიციანი, გალაკტიონის არ იყოს, სოფელ ჭყვიშიდან იყო და ახლად დაქორწინებულ წყვილს თავს ზემოთ ჭერი ხომ უნდა ჰქონოდა.

ამ სახლში დაბინავდნენ, ამ სახლის უზარმაზარი მრგვალი მაგიდის გარშემო მასპინძლობდნენ სტუმრებს: გიორგი ლეონიძეს, სიმონ ჩიქოვანს, ბორის პასტერნაკს... აქ იზრდებოდა ტიციანის ქალიშვილი ნიტა, დასახვრეტადაც აქედან წაიყვანეს ტიციანი 1937 წელს, ღამის სამ საათზე.

11 ივნისს ამ სახლის კარზე საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიამ „უკანასკნელი მისამართის“ ფირფიტა მიაკრა. ეს პროექტი „სოვლაბმა“ 2017 წელს დაიწყო – მემორიალურ დაფებს ათავსებს იმ სახლებთან, საიდანაც საბჭოთა „კაგებეს“ რეპრესიების მსხვერპლი მიჰყავდა.

შენობა, რომელიც გრიბოედოვის №18-ში მდებარეობს, მაღალჭერიანი, სამსართულიანი სახლია, შიდა აივნებით, შიდა ეზოთი და დიდი ნათელი ოთახებით. უშუალოდ სახლ-მუზეუმს დღეს აქ მხოლოდ ორიოდე ოთახი უჭირავს. შენობაში სხვებიც ცხოვრობენ და ყველას ერთი და იგივე პრობლემა აქვს.

„სახლი ძალიან ცუდ მდგომარეობაშია. რამდენჯერმე მივმართეთ მერიასაც, გამგეობასაც, მაგრამ რეაქცია არ არის. ისეთი ბზარებია... ფანჯრებიც ძალიან ცუდად იღება, მესამე სართულზე ვერც აღებენ. გასამაგრებელია სახლი. თუ დაინტერესდებიან და გაამაგრებენ, კარგი საქმე იქნება“, – ამბობს გივი ანდრიაძე, ტიციან ტაბიძის შვილიშვილი.

სახლს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აქვს, რაც საკუთარი ინიციატივითა და ძალებით მის გამაგრებას გამორიცხავს. ტიციანის მუზეუმი ლიტერატურის მუზეუმს ექვემდებარება, რომელიც თავის მხრივ კულტურის სამინისტროს ეკუთვნის. უშუალოდ შენობა მერიის დაქვემდებარებაშია. სამსართულიანი აგურის შენობა დღეს მთლიანად მორღვეულია, კედლები და ჭერი – დაბზარული, ალაგ-ალაგ ჩამოვარდნილიც, იატაკი – დახრილი. განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაშია ხის კიბე და სადარბაზო. ტიციანის შთამომავლები შიშობენ, რომ შესაძლოა, ერთხელაც კიბემ ან მთლიანად სახლმა მნახველებს ვერ გაუძლოს და უბედურება დატრიალდეს.

სანახავი ტიციანის მუზეუმში ორი დიდი ოთახია, მისაღები და საძინებელი. მიუხედავად იმისა, რომ ტიციანის დახვრეტის შემდეგ შენობაში სხვა ოჯახი შეასახლეს, ტაბიძეების ნივთები მაინც გადარჩა. სხვა ბევრ რამესთან ერთად აქ არის პასტერნაკის ნაჩუქარი პიანინო, უნიკალური გამოცემები, ნახატები, მათ შორის ზდანევიჩის ორი ტილო და გუდიაშვილის დახატული ტიციანის პორტრეტი, რომელზეც ტიციანი გამხდარია გამოსახული.

თბილისის მერიაში აცხადებენ, რომ შენობის აღდგენას მთაწმინდის გამგეობა ვერ მოახერხებს, რადგან გამგეობა მხოლოდ ისეთ ავარიულ შენობებზე მუშაობს, რომლებსაც კულტურის ძეგლის სტატუსი არა აქვს. რაც შეეხება თბილისის განვითარების ფონდს, ის წელს გუდიაშვილის პროექტსა და მის მიმდებარე ბინებზე მუშაობს. გრიბოედოვის №18-ის რეაბილიტაცია ჯერ გადაწყვეტილი არ არის და ისიც გაურკვეველია, როდის მოხვდება მერიის პროექტებში.

თეა თოფურია,
რადიო თავისუფლების ჟურნალისტი.

კულტურის სამინისტრომ სხვადასხვა პროექტის დაფინანსების მიზნით ხუთი კონკურსი გამოაცხადა

კულტურის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ხუთ კონკურსს აცხადებს:

1. „კლასიკური მუსიკა, ქართული ესტრადა და ფოლკლორი რეგიონებში – ხელშეწყობა საგასტროლო ხარჯებით“.

კონკურსისთვის გამოყოფილი საერთო ბიუჯეტი შეადგენს 700 000 ლარს და მისი მიზანია: რეგიონებში კულტურული ცხოვრების გააქტიურება და კულტურაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა; ქართველ ხელოვანთა შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა და რეგიონებში საგასტროლო ხარჯებით უზრუნველყოფა; მუსიკოს-შემსრულებელთა და შემოქმედებითი ჯგუფებისჰანსამბლების მიერ რეგიონებში კლასიკური მუსიკის, ქართული ესტრადისა და ფოლკლორული კონცერტების, საიუბილეოჰშემოქმედებითი საღამოების ჩატარების, სახალხო დღესასწაულებსა და საახალწლო ღონისძიებებში მონაწილეობის ხელშეწყობა.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს, საქართველოში რეგისტრირებულ ფიზიკურ პირს ან ფიზიკურ პირთა ჯგუფს.

2. „პროფესიული თეატრების შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა სადადგმო ან სხვა ხარჯით“.

კონკურსისთვის გამოყოფილი ჯამური ბიუჯეტი შეადგენს 200 000 ლარს და მისი მიზანია საქართველოს პროფესიულ თეატრებში შემოქმედებითი ძიებების გააქტიურება; ახალი ფორმების, გამომსახველობითი ხერხებისა და საშუალებების, ხელოვანთა ახალი სახელების წარმოჩენა; ქართული თეატრის რეპერტუარის ახალი დადგმებით გამდიდრება.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ პროფესიულ თეატრებს, განურჩევლად სამართლებრივი სტატუსისა.

3. „სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი პროფესიული თეატრების ხელშეწყობა სადადგმო და საგასტროლო ხარჯებით“.

კონკურსისთვის გამოყოფილი ჯამური ბიუჯეტი შეადგენს 150 000 ლარს და მისი მიზანია საქართველოს კულტურის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი 30-მდე პროფესიული თეატრის მდგრადობისა და მათში შემოქმედებითი პროცესის წახალისების უზრუნველყოფა.

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ პროფესიულ თეატრებს.

4. „დედაქალაქის პროფესიული თეატრები რეგიონებში – ხელშეწყობა საგასტროლო ხარჯებით“.

კონკურსისთვის გამოყოფილი საერთო ბიუჯეტი შეადგენს 200 000 ლარს და მისი მიზანია რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისათვის თეატრალური ხელოვნების ხელმისაწვდომობა; დედაქალაქის პროფესიული თეატრების რეგიონებში გასტროლების ხელშეწყობა და ადგილობრივ მოსახლეობაში თეატრისადმი ინტერესის გაზრდა; ქართული თეატრალური ხელოვნების პოპულარიზაცია და მიმდინარე თეატრალური პროცესის გააქტიურება.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ დედაქალაქის პროფესიულ თეატრებს განურჩევლად სამართლებრივი სტატუსისა.

5. „ინდივიდუალური შემოქმედებითი პროექტების/ინიციატივების განხორციელების ხელშეწყობა რეგიონებში, მათ შორის საოკუპაციო ხაზთან“.

კონკურსისთვის გამოყოფილი საერთო ბიუჯეტი შეადგენს 90 000 ლარს და მისი მიზანია რეგიონებში კულტურაზე ხელმისაწვდომობის გაზრდისა და კულტურის სფეროში თვითრეალიზებისა და თვითგამოხატვის უზრუნველყოფა; ხელოვნების სფეროს წარმომადგენელთა ინდივიდუალური შემოქმედებითი პროექტებისჰინიციატივების განხორციელების ხელშეწყობა რეგიონებში, მათ შორის საოკუპაციო ხაზთან, პერფორმანსების, კონცერტების, შემოქმედებითი საღამოების, გამოფენების, შეხვედრების, ვორქშოპების, ლექცია-სემინარებისა და სხვა სახის ღონისძიებების ჩატარების გზით; ხელოვანთა შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერა.

* * *

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ საქართველოს მოქალაქე ფიზიკურ პირებს.

საკონკურსო განაცხადები მიიღება 2021 წლის 21 ივნისიდან 2021 წლის 30 ივნისის 12:00 საათამდე სამინისტროში, მისამართზე: **თბილისი სანაპიროს ქ. №4, მატერიალური სახით ან სამინისტროს ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე – info@culture.gov.ge ელექტრონული დოკუმენტის სახით, ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ, ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) და დასკანერებული.**

ინფორმაცია კონკურსში გამარჯვებული პროექტების შესახებ გასაჯაროვდება სამინისტროს ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე არაუგვიანეს 2021 წლის 10 ივლისისა.

3 ივნისის შემდეგ სამინისტროში შეტანილი საკონკურსო დოკუმენტაცია განიხილება შესაბამისი კონკურსის ფარგლებში და არ საჭიროებს განმეორებით წარმოდგენას. ამასთან, პირველი კონკურსით გათვალისწინებული პროექტის მომზადების მიზნებისათვის, კონკურსანტს შეუძლია, მიმართოს სამინისტროს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით და მისგან გაითხოვოს ინფორმაცია საქართველოს რომელიმე რეგიონში ხელმისაწვდომი ტექნიკური აღჭურვილობისა და მათი პროექტის ფარგლებში გამოყენების თავისებურებების შესახებ. ამგვარი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში, სამინისტრო კონკურსანტს პასუხს უბრუნებს იმავე დღეს.

ფულის ამკრებთა დაქუცმაცებაც რეფორმა ყოფილა!

„თელასისთვის“ მრიცხველის ჩვენების გაგზავნა სავალდებულო არ არის

21 ივნისს თელასის აბონენტებმა მიიღეს შეტყობინება, რომელშიც ნათქვამია: გამომდინარე იქიდან, რომ ელექტროენერგიის მომწოდებელ კომპანიად 1 ივლისიდან განისაზღვრება შპს „თელმიკო“, მომხმარებელს კომპანია „თელასი“ სთხოვს მრიცხველის ჩვენების მიწოდებას. ამ შეტყობინებამ აბონენტებში ერთგვარი დაბნეულობა გამოიწვია, მოუწევდათ თუ არა მათ მუდმივად ელექტრომომწოდებლისთვის მრიცხველის მონაცემების თავად გაგზავნა.

„კომერსანტი“ კომპანია „თელასს“ დაუკავშირდა, სადაც პასუხად მივიღეთ, რომ აღნიშნული შეტყობინება საინფორმაციო კამპანიის ნაწილია და გამომდინარე იქიდან, რომ 1-ლი ივლისიდან მომხმარებელთან კომუნიკაცია „თელმიკოს“ ექნება, უნდა განისაზღვროს, რამდენი უნდა გადაუხადოს მომხმარებელმა „თელასს“ და რამდენი „თელმიკოს“. თუმცა მათივე თქმით, მონაცემების გაგზავნა სავალდებულო არ არის.

„ეს ვალდებულება არ არის, ეს არის ნორმატიული აქტის მოთხოვნა, სადაც წერია, რა უნდა გავაკეთოთ კომპანიამ გაყოფის დროს. ვებ პორტალზე შეუძლია მომხმარებელს თავისი ჩვენება გამოგვიზავნოს, ამით უბრალოდ გავუადვილეთ პროცესი, თუ არ გამოიგზავნება, არც ეგ იქნება პრობლემა. ჩვენ გვქონდა ვალდებულება, რომ ეს გვეცნობებინა SMS-ით. პირველი ივლისიდან ოპერირებას იწყებს „თელმიკო“, თელასი მომხმარებელს არ გაუგზავნის ქვითრებს, ეს შეტყობინებაც საინფორმაციო კამპანიის შემადგენელი ნაწილია.

ეს იმიტომ ხდება, რომ გავიგოთ, თელასს რა უნდა გადაუხადოს მომხმარებელმა და მეორე კომპანიას რა! თელასი რჩება ბაზარზე იმ ნაწილში, რომ ელექტროქსელის ოპერირებას გააკეთებს და თუ ახალი მომხმარებელი დარეგისტირდება, ამას თელასი განახორციელებს, ასევე მოახდენს ქსელის მოდერნიზებას და რემონტს. რაც შეეხება „თელმიკოს“ მომხმარებელთან ის იქნება დაკავშრებული.

ეს გარდამავალი ეტაპი კომპანიის გაყოფის პროცესში ძალიან რთული იქნება. რთული იქნება გააგებინო მოსახლეობას, რომელიც ამდენი ხანი შეჩვეული იყო თელასს,“ – განმარტავენ კომპანია „თელასში“. შეგახსენებთ, რომ პირველი ივლისიდან მთელი საქართველოს მასშტაბით საყოფაცხოვრებო მომხმარებლისთვის და მცირე საწარმოებისთვის ელექტროენერგიის მიმწოდებელი კომპანიები იცვლება.

„თბილისში „თელასის“ ნაცვლად, მოსახლეობას და მცირე საწარმოებს ელექტროენერგიას მიაწვდის „თბილისის ელექტრომიმწოდებელი კომპანია“ (თელმიკო), ხოლო რეგიონებში, „ენერგო პრო ჯორჯიას“ ნაცვლად – „ეპ ჯორჯია მიწოდება“.

პასუხს გაუფრთხილებლად აგებინებს

თეთრი სახლის ოფიციალურმა წარმომადგენელმა, ჯენ ფსაკიმ განაცხადა, რომ ვაშინგტონი მოსკოვს საპასუხო კიბერთავდასხმების შესახებ არ გააფრთხილებს. თეთრი სახლის ოფიციალური წარმომადგენლის თქმით, ჟენევაში გამართულ სამიტზე ჯო ბაიდენმა რუსეთიდან ჰაკერული თავდასხმების თემა წამოწია.

ჯო ბაიდენმა აღნიშნა, რომ თუ ამერიკულ ობიექტებზე ჰაკერული თავდასხმები გაგრძელდება, მოსკოვი ამისთვის პასუხს აგებს. **„პრეზიდენტმა მკაფიოდ განაცხადა, რომ ეს ის სფეროა, რომელსაც ვაკვირდებით და უფლებას ვიტოვებთ, ისეთი ქმედებები განვახორციელოთ, რომელიც შედეგებს გამოიწვევს. ჩვენ გაფრთხილების გარეშე ვიმოქმედებთ“,** – აღნიშნა ჯენ ფსაკიმ.

ნატო თურქეთის გარეშე ვერ იარსებებს

„ნატოს სამიტზე კიდევ ერთხელ გაირკვა, რომ ნატო თურქეთის გარეშე ვერ იარსებებს. თურქეთი ალიანსის წინაშე თავის ვალდებულებებს სრულად ასრულებს. თურქეთი ნატოს შენარჩუნების მნიშვნელობას აღიარებს“, – აღნიშნა თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ ტაიფ ერდოანმა. მისი თქმით, პანდემიამ ცხადყო, რომ ნატო მსოფლიოში ახალი რეალობის შესაბამისად უნდა განვითარდეს.

„მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი მარტო დარჩა, როდესაც დახმარება სჭირდებოდა, თურქეთი აღიარებს ნატოს მნიშვნელობას გლობალური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში“, – განაცხადა რეჯეფ ტაიფ ერდოღანმა.

თურქეთის პრეზიდენტმა, განაცხადა, რომ გლობალური უსაფრთხოების გამოწვევების ფონზე, ნატოს მნიშვნელობა იზრდება.

სომხეთში პოლიტიკური კრიზისი დასრულდა

სომხეთის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა, ნიკოლ ფაშინიანმა განაცხადა, რომ სომხეთში პოლიტიკური კრიზისი დასრულდა.

„სომხეთში შიდაპოლიტიკური კრიზისი, რომელიც 9 ნოემბერს დაიწყო, დასრულდა. ხვალიდან ნორმალურ რეჟიმში მუშაობას ვიწყებთ. უნდა გვესმოდეს, რომ ქვეყანაში პირობები და კლიმატი სერიოზულად შეიცვალა, რადგან ხალხმა ქვეყანაში კანონის დამყარების მანდატი მოგვანიჭა“, – აღნიშნა ნიკოლ ფაშინიანმა. მისი თქმით, ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლების შეფასებით, სომხეთში ჩატარებული ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ყველა სტანდარტს შეესაბამებოდა. სომხეთის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების შედეგები გამოაქვეყნა. გამარჯვება ნიკოლ ფაშინიანის პარტიამ მოიპოვა. „სამოქალაქო შეთანხმებამ“ ხმების 53.92% მიიღო. მეორე ადგილზეა ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტის, რობერტ ქოჩარიანის საარჩევნო ბლოკი „სომხეთი“, რომელსაც მხარი ამომრჩეველთა 21.04%-მა დაუჭირა. მესამე ადგილს კი კიდევ ერთი ყოფილი პრეზიდენტის, სერჟ სარგსიანის საარჩევნო ბლოკი „მაქვს პატივი“ იკავებს, რომელმაც 5.23% მიიღო. სომხეთის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა ნიკოლ ფაშინიანმა განაცხადა, რომ პარლამენტში პარტია „სამოქალაქო შეთანხმებას“ საკონსტიტუციო უმრავლესობა ექნება და მთავრობის ჩამოყალიბებას დამოუკიდებლად შეძლებს.

თავი 10

„ღაავადებანი და ავადმყოფნი“

...ფსიქოანალიზს პრეტენზია აქვს, რომ მან შექმნა ახალი გაზისი საერთოდ ჩვენი სულიერი ცხოვრების გაგებისთვის და ამიტომ მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიაზე დაფუძნებული სუყოველი მეცნიერული დარგისთვის.

* * *

ყოველგვარი ფსიქოანალიტიკური მკურნალობა იმ გამოდევნილი სიყვარულის გათავისუფლების ცდაა, რომელმა სიყვარულმაც იპოვნა უმნიშვნელო რამ კომპრომისული გამოვლინება სიმპტომში.

* * *

...სუყოველივეს, რასაც ანალიზი აძლევს ნევროტიკით, ნორმალური ადამიანები უიმანალიზოდ აღწევენ.

* * *

ფსიქოანალიზი სუყოველ ადამიანში ყველაფერ იმას ავლენს, თუ რამ უკეთურია მასში.

* * *

რამდენადაც ჩვენი აზროვნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია გარე სამყაროს მასალის (მატერიის) ფსიქიკურ თვისებაშია, ჩემი ვარაუდით, ფსიქოანალიზის მადლიერნი უნდა ვიყვნეთ, რა ფსიქოანალიზიც, დიდი ადამიანის მიმართ გამოყენებული, ხელს უწყობს იმ დიდი ადამიანის დიად მიღწევათა გაგებას.

* * *

რაიც გესმის და ისიც, რასაც განიცდი, თავისი ფსიქოლოგიური არსით სავსებით სხვადასხვა რამ არის მაშინაც კი, როცა ერთსა და მეორესაც ერთი და იგივე შინაარსი აქვს.

* * *

ფსიქოანალიზმა ცნო, რომ ადრეული ბავშვობის სექსუალური ცხოვრება თავის უმაღლეს გამოვლინებას აღწევს ეგრეთ წოდებულ ოიდიპოსის კომპლექსში, საპირისპირო სქესის მშობლის მიმართ ემოციურ სიყვარულში თავისივე სქესის მშობლისადმი მეტოქეობით.

* * *

საერთო წესად უნდა მივიჩნიოთ, რომ სუყოველი ადამიანი მუდმივად აანალიზებს ფსიქიურად სხვა ადამიანთ და ამისდა შედეგად იმათ თავის თავზე ბევრად უკეთესად იცნობს.

* * *

...საზღვარი ეგრეთ წოდებულ სულის ნორმალურ და პათოლოგიურ მდგომარეობათა შორის რაღაცა ზომით პირობითია, რაღაცით იმდენად არაკანთიელია, რომ ალბათ, სუყოველი ჩვენგანი დღის სიგრძეზე არაერთგზის არღვევს ამ საზღვარს.

* * *

...ერთადერთი ფასეული რამ ფსიქიკაში გრძნობებია, სუყოველ ფსიქიკურ ძალას მნიშვნელობა აქვს მხოლოდ გრძნობათა აღძვრის უნარისდა გამო.

* * *

ადამიანის ფსიქიკის კანონთა შესწავლა მეტადრე მიმზიდველია გამოჩენილ პიროვნებათა მაგალითისდა მიხედვით.

* * *

ფსიქიკური პროცესები თავისთავად შეუცნობელია, ცნობიერია მხოლოდ ზოგიერთი აქტი და სულიერი ცხოვრების ესა თუ ის მხარე.

* * *

უკეთუ რაღაც მიზეზით ფსიქიკურ ტრავმას რეაქცია არ მოჰყვა, ეს ტრავმა ინარჩუნებს თავის თავდაპირველ ეფექტს, იმ შემთხვევაში კი, უკეთუ ადამიანი უძლურია, რომ თავი დააღწიოს აღგზნების გაძლიერებას „საპასუხო ქმედების“ მეოხებით, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მოვლენა იმისთვის ფსიქიკური ტრავმა გახდება.

* * *

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №58, 65-66, 69-70, 71-72, 79-80, 89-90, 99-100, 103-104

ფსიქიკის ფუნქციათა მოშლის მაგალითების მოპოვება ყოველდღიურ ცხოვრებაში მოხდება საკუთარი თვითდაკვირვების გზით.

* * *

ჩახშობილი ელემენტი მუდმივად ისწრაფვის რაიმე გზით გარეთ გამოსაღწევად, ოღონდ მხოლოდ იქ ახერხებს, სადაც შესატყვისი ხელსაყრელი პირობებია.

* * *

რეალობის პირველი მხარე, რომელსაც იძულებული ავადმყოფი ანგარიშს უწევს, სწორედაც იმისავე ავადობაა.

* * *

ძლიერი ეგოიზმი ავადმყოფობისგან გვიცავს, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, აუცილებელი სიყვარული გამოვაღვიძოთ იმის გულისთვის, რათა დაავადდეთ, ხოლო სენი რამ უცილოდ შეგვეყრება, უკეთუ საკუთარი უსაფუძვლოდ აკვიატებული აზრისდა გამო მოკლებული ვართ შეყვარების საშუალებას რასმე.

* * *

რეალურ სამყაროში გარდამავალი და შუალედური მდგომარეობა გაცილებით უფრორე გავრცელებულია, ვიდრე მკაფიოდ განსაზღვრული საპირისპირო მდგომარეობანი.

* * *

ხშირად ვხედავთ, რომ ადამიანები მაშინ ავადდებიან, როცა მოკლებულნი არიან იდეალს რასმე, როგორადაც მაშინ, როცა ამ ადგილის მისაღწევად ჩალიჩობენ.

„ყოველთვის სულ იმის ცდაში ვარ, რომ ადამიანში, ქალშიც და კაცშიც, უწინარესად, ხასიათის საუკეთესო თვისებები დავინახო“,



— აგრე იტყოდა ზიგმუნდ ფროიდი

ქართულად გადმოაქცია გურამ გოგიაშვილმა

* * *

დაავადება უწინარესად ფსიქიკურ ძალისხმევას ზოგავს, ფსიქიკური კონფლიქტის შემთხვევაში (გაქცევა ავადმყოფობაში) უფრორე მოსახერხებელი ხდება ეკონომიკური გადაწყვეტის წყალობით, ოღონდ უმეტეს შემთხვევაში მოგვიანებით, უცილობლად აშკარავდება ესეგვარი გამოსავლის არამიზანშეწონილობა.

* * *

ავადმყოფური მდგომარეობისადმი მიდრეკილება ხშირად უკვე ბავშვობაში იღვიძებს. ბავშვი, რომელსაც სიყვარული ეჭირვება, უხალისოდ უყოფს მშობელთა სიყვარულს თავის ძმებსა და დებს, და ამჩნევს, რომ სიყვარული სულ იმისი მაშინ ხდება, როცა ავად არის. ახლა მან უკვე იცის, როგორ უნდა მოიპოვოს დედ-მამის სიყვარული და აგრეთვე მიმართავს ამ ხერხს, როგორც კი ხელთ იგდებს ფსიქიკურ მასალას, რათა თავი გვარიანად მოიავადმყოფოს.

* * *

ნევროზი ჩნდება „მე“-სა და ლიბიდოს შორის კონფლიქტის შედეგად.

* * *

ავადმყოფთა ცნობილი ეგოიზმი სუყოველ სხვა მიზანს აჭარბებს.

* * *

ავადმყოფმა თავის თავში იმის ძალა უნდა იპოვნოს, რომ მთელი ყურადღება თავისი დაავადებების გამოვლინებებზე გადაიტანოს. თავისი დაავადება არა, არ უნდა სძულდეს, ის ავადმყოფის ღირსეული მოწინააღმდეგე ხდება, მისი ბუნების ნაწილი, რაიც დამაჯერებელ მიზეზთ ეყრდნობა ამ ნაწილიდან აუცილებელია რისამე ფასეულის გამოტანა მომავალი ცხოვრებისთვის ფასეული.

* * *

შეუძლოდ ყოფნის მიზეზი მუდამ სარფის ნახვის სურვილიღარია.

* * *

ძნელია ისეთი ავადმყოფის ნახვა, ვინც არ შეეცდებოდა რომელიმე ისეთი დარგის შენარჩუნებას, ამ მკურნალობას რომ გადაუღობავდა გზას.

* * *

სრულიად ნორმალურია, რომ ოთხი წლის გოგოცუნა მწარედ მოსთქვამს, უკეთუ თოჯინა გაუტყდა, ექვსი წლისა – უკეთუ მასწავლებელი შენიშვნას რასმე აძლევს, თექვსმეტი წლისა – უკეთუ საყვარელი ადამიანი არ ეზრუნება, ოცდახუთი წლისა – უკეთუ ვაითუ ბავშვს კრძალავს... მაგრამ ნამდვილად შეგვძრავდა, უკეთუ ეს გოგონა, უკვე ცოლი და დედა, ატირებულიყო გატეხილი ფაიფურის რამ ზარაურთისა თუ სამშვენისისა გამო. არადა, სწორედ ამრიგად იქცევიან ნევროტიკოსნი.

* * *

ჯანმრთელობის პირობებსა და ნევროზის პირობებს შორის ხარისხობრივი სხვაობა არ არის... ჯანმრთელ ადამიანთ ლიბიდოს დაძლევის მხრივ იმავე ამოცანებისთვის თავის გართმევა მართებს, ოღონდ ისინი ამას ბევრად უკეთესად ახერხებენ.

* * *

ნევროტიკი სინამდვილეს იმიტომ შორდება, რაკი ის სინამდვილე თავისთვის აუტანლად მიაჩნია სრულიად ანდა ნაწილობრივ.

* * *

სიყვარულის რეალურ მოთხოვნილებათა ხორცშესხმის უუნარობა ნევროზის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თვისებაა. ავადმყოფთა ცხოვრება გაძნელებულია რეალობასა და ფანტაზიას შორის კონფლიქტისა გამო. ისინი იმას უფრთხიან, რაიც უფრორე მგზნებარედ სურთ თავიანთ ფანტაზიებში, როცა ნამდვილად ხვდებიან იმას, რასაც აგრერიგად უფრთხოდნენ.

* * *

აკვიატებულობის ნევროზით დაავადებულთა საერთო სულიერი მოთხოვნილება... ის მოთხოვნილებაა, რაიც ცხოვრების გაურკვევლობაშია, ანდა დაეჭვების მოთხოვნილებაა. გაურკვევლობის შექმნა ერთ-ერთი ის მეთოდია, ნევროზით რომ სარგებლობს, რათა ავადმყოფის ყურადღება რეალობას ააცდინოს და განაცალკევოს იგი დანარჩენი სამყაროსგან, რაიც ჩადებულია სუყოველი ფსიქონევროლოგიური დარღვევის ტენდენციაში.

* * *

აკვიატებულობის ნევროზით დაავადებულთა დაყურადღებება გაურკვევლობითა და დაეჭვებით ამ დაავადებულთათვის წინამძღოლი ხდება, რათა თავიანთი გულისყური უპირატესად იმ თემებზე გადაიტანონ, სადაც გაურკვევლობა საერთოსაკაცობრიო მოვლენაა, ჩვენი ცოდნა და სჯა კი აუცილებლად საეჭვო ხდება. ასეთი თემებია უწინარესად: წარმომავლობა მამის მხრივ, სიცოცხლის ხანგრძლივობა, სიცოცხლე სიკვდილის შემდგომ და ხსოვნა, რაიც რომ გვწამს, თუმცაღა იმის საიმედოობა სულაც არა გვჯერა.

* * *

...ნევროზს მუდამ ბავშვობაში ესკვნება საფუძველი...

* * *

სუყოველ ახალშობილს ელის ოიდიპოსის კომპლექსის ამოცანის გადაწყვეტა; ვისაც ამის ქმნა არ ძალუძს, ნევროზით ავადდება.

* * *

...ნევროზის სიმპტომი, არსებითად, აუსრულებელ სექსუალურ სურვილთა დაკმაყოფილების შეცვლაა.

* * *

ნევროზი თვითშენარჩუნების აუცილებლობასა და ლიბიდოს მოთხოვნილებათა შორის ბრძოლის შედეგია; ბრძოლისა, რომელშიც გაიმარჯვა „მე“-მ, ოღონდ მძიმე ტანჯვისა და გაჭირვების ფასად.

* * *

ადამიანი ნევროტიკი ხდება, რამეთუ არ ძალუძს სუყოველი შეზღუდვის ატანა, რასაც იმისგან საზოგადოება ითხოვს თავის კულტურულ იდეალთა გულისთვის.

* * *

...ადამიანები ნევროტიკები ხდებიან დაუარების შედეგად.

* * *

ოიდიპოსის კომპლექსი, რამდენადაც ვიცით, ბავშვობაში სუყოველ ადამიანს აქვს, რაიც დიდად იცვლება ჩამოყალიბების ხანაში და დროდადრო აჩნდება ბევრ ინდივიდს მოწიფულობის ჟამს.

* * *

ალბათ, შემთხვევითი არ არის, რომ მსოფლიო ლიტერატურის სამი შედევრი ერთსა და იმავე თემას – მამისმკვლელობას იყენებს თემად, ესენია სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“, შექსპირის „ჰამლეტი“ და დოსტოევსკის „ძმები კარამაზოვები“. სამივეში გაშიშვლებულია მოქმედების მოტივიც – ქალის გულისთვის სექსუალური მეტოქეობა.

* * *

ოიდიპოსის კომპლექსი ნევროზთა ჭეშმარიტ შინაარსს შეიცავს.

* * *

ოიდიპოსივით ჩვენც უზნეო სურვილთა შეუგნებლად ვცხოვრობთ, რა სურვილებიც ბუნებისგან თანდაყოლილია; უკეთუ შევიგნებდით, ეგრევე ზურგს შევაქცევდით ჩვენი ბავშვობის მოვლენებს.

* * *

ისტერიკი იტანჯება არაშეხმიანებულ ფსიქიკურ ტრავმათა არასისავსით.

* * *

...ისტერიის სუყოველ შემთხვევას საფუძვლად უდევს... ერთი ან არაერთი განცდა, რაიც დაკავშირებულია ბავშვობაში განცდილ ადრეულ სექსუალურ გამოცდილებასთან.

* * *

ისტერიული სიმპტომი ზოგიერთ აქტიურ ტრავმირებულ შთაბეჭდილებასა და განცდაზე მოგონების შედეგია.

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)

◎ ტატამი

სამიდან - ორმა



დიდ ბრიტანეთში გამართულ უორიკის გრან პრიზე ქართველმა პარაძიუდოისტებმა ორი ოქროს მედალი მოიპოვეს.

60 და 73 კილოგრამ წონით კატეგორიებში საუკეთესო შედეგი ზურაბ ზურაბიანმა და გიორგი ქალდანმა აჩვენეს. გადამწყვეტ შეხვედრებში ქალდანმა უზბეკ, ზურაბიანმა კი ვენესუელელ მეტოქეებს აჯობეს.

ტურნირზე კიდევ ერთი ქართველი სპორტსმენი – ბაჩუკი შელიაც გამოდიოდა, რომელიც მედლის გარეშე დარჩა. დიდი ბრიტანეთის გრან პრი ტოკიოს პარალიმპური თამაშების წინასალიცენზიო ტურნირია.

◎ ხალიჩა



„ჯვაროსანთა“ „კლასიკური“

ხვიჩა ძორიძის გაწვრთნილმა საქართველოს ჭაბუკ ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა ბულგარეთის ქალაქ სამოკოვში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე 6 მედალი მოიპოვა და სამშობლოში გუნდური მეორე ადგილით დაბრუნდა.

პერსპექტიულ „კლასიკოს“ „ჯვაროსანთაგან“ საპატიო კვარცხლბეკზე ავიდნენ: **„ოქრო“** – არჩილ ბოლქვაძე (80 კგ); **„ვერცხლი“** – თამაზ ღლონტი (51 კგ) და ანრი ფუტკარაძე (65 კგ); **„ბრინჯაო“** – ანრი ხოზრევანიძე (45 კგ), რატი ხოზრევანიძე (60 კგ) და გორ აივაზიანი (92 კგ).

◎ დარბაზი

ტოლი ნახეთ...

თბილისის ოლიმპიურ სასახლეში გამართულ ერთა თასის გათამაშებაში ისეთი ექვსეული შეიკრიბა, ვალდებულნი ვიყავით

მთავარ ჯილდოსთან ერთად 2024 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი რაუნდის შემდეგი ეტაპის საგზურიც მოგვეპოვებინა.

სასიამოვნოა, რომ აღნიშნულ ამოცანას საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ნაკრებმა წარმატებით გაართვა თავი, თანაც ისე, რომ არცერთ შეხვედრაში პრობლემა არ შექმნია: აზერბაიჯანთან (36:16) და მოლდოვასთან (27:20) – ჯგუფში, ბულგარეთთან (32:19) – ნახევარფინალში, ხოლო კვიპროსთან (32:18) – ფინალში.

გადამწყვეტ ბრძოლაში მეტოქის კარში 12 ბურთის გამტანი **გიორგი ცხოვრებაძე** მატჩის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს.

◎ ევრო – 2020

იტალია, ბელგია და ნიდერლანდები – სრული სვლით!

სათაურში დასახელებულმა ტრიომ ჯგუფური რაუნდი ქულათა მაქსიმუმით დაასრულა, გამოიკვეთა მერვედფინალისტთა პირველი წყვილებიც, რომლებიც ორდღიანი შესვენების შემდეგ ევროპის ჩემპიონატის პლეი-ოფების სერიას 26 ივნისს ასეთი შეხვედრებით გახსნიან: უელსი – დანია (20 საათი, ამსტერდამი) და იტალია – ავსტრია (23 საათი, ლონდონი). ახლა კი უფრო დაწვრილებით ვისაუბროთ საშუალედო ფინიშზე განვითარებულ მოვლენათა შესახებ.

კალენდარმა ისე ინება, რომ „ა“, „ბ“ და „გ“ კვარტეტების გადამწყვეტ მატჩებში გარკვეულწილად ის გუნდები მონაწილეობდნენ, რომლებიც ამა თუ იმ დოზით არიან დაკავშირებულნი წინა ფორუმების ე. წ. საეჭვო თამაშებთან და ან თვითონ დაზარალდნენ (იტალია, დანია – შვედეთის 2:2-ის შედეგად) ან სხვები დააზარალეს (ალჟირი, ავსტრია – გერმანიის 0:1-ის გამო).

საბედნიეროდ, ამჯერად ყველაფერი სპორტული პრინციპის სულისკვეთებით მოხდა და ჩასაფრებულებს საკბილო აღარ მიეცათ.

„ა“ ჯგუფი. იტალია – უელსი 1:0, შვეიცარია – თურქეთი 3:1.

იტალია – 9, უელსი, შვეიცარია – 4-4, თურქეთი – 0 ქულა.

„ბ“ ჯგუფი. ბელგია – ფინეთი 1:0, დანია – რუსეთი 4:1.

ბელგია – 9, დანია, ფინეთი, რუსეთი – 3-3 ქულა.

„გ“ ჯგუფი. ნიდერლანდები – ჩრდ. მაკედონია 3:0, ავსტრია – უკრაინა 1:0.

ნიდერლანდები – 9, ავსტრია – 6, უკრაინა – 3, ჩრდ. მაკედონია – 0 ქულა.

◎ აუზი



ჯერ – მალტაზე

ქართველ წყალბურთელთა სასახელო ტრადიციებს ღირსეულად აგრძელებს ახალი თაობა, რაც თბილისში გამართულმა 17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევმა ტურნირმაც დაადასტურა.

ოთარ ქოიავას შეგირდებმა დიდი უპირატესობით დაჯაბნეს ყველა მეტოქე და ზედიზედ მეორედ მოიპოვეს ფინალური ეტაპის საგზური, რომელსაც წლეულს 12-19 სექტემბერს მალტა უმასპინძლებს, 18-წლამდელთა საგაისო მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშის უფლების დასაუფლებლად კი იქ რვა საუკეთესოში მოხვედრა გვმართებს.

თბილისის საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკის“ აუზში ჭაბუკმა „ჯვაროსნებმა“ შემდეგი გუნდები „ჩაძირეს“: ბელარუსი – 17:10, სლოვაკეთი – 17:7, ლიეტუვა – 20:8 და მოლდოვა – 27:7.

დავძენთ, რომ პარტნიორთაგან ყველაზე შედეგიანები იყვნენ: **ახვლედიანი** – 16, ჩიქოვანი – 13, **კირიაკიდი** – 12, **ტყეშელაშვილი** – 11, **გელაშვილი** – 7 და **მიქაუტაძე** – 6 გოლი.

◎ კოლეგა

ასეთად ვიცნობთ

რაც ჯემალ ჭიპაშვილი გავიცანი, სულ ვფიქრობ, ხომ შეიძლებოდა, მისთვის იმედა დაერქვათ-თქო.

არა, სახელს არაფერი დაეწუნება, უბრალოდ, მისი ცხოვრებისეული კრედოს გათვალისწინებით მიჩნდება ასეთი აზრი.

დიახ, გეგონება, არსთა გამრიგემ დაბადებამდე დააწერა შუბლზე ჩვენს ძვირფას კოლეგასა და მეგობარს, რომ ყველას შემწედ და გაჭირვების ტალკვესაც იქცეს, ადამიანისთვის საფიქრალის შემსუბუქება და შვების მოგვრა კი, დამეთანხმებით, დიდი მადლი და ღირსებაა.

ვიდრე ჟურნალისტიკაში ცდიდა ძალებს, ქიცისა და ქიცმაცურის მცოდნე ეს კეთილშობილი პიროვნება პროფესიული განათლების სისტემაში გამოიწრთო, სიკეთის ქმნის უნარს, უმადურობით მოგვრილი ცალკეული, გარდაუვალი შემთხვევებით გამოწვეული გულისტკივილის მიუხედავად, ბოლომდე უერთგულა და კალმოსანთა საძმოში უკვე ჩამოყალიბებულ კეთილ კაცად შემოაბიჯა, ირგვლივ იმედს რომ ამკვიდრებს.

სხვათა შორის, უანგარობის კვალი-ნათელი სპორტულ პრესაში მისი მოღვაწეობისას გამოძერწილი თითოეული სტრიქონიდან ასხივებს, რაც თვალსაჩინოდ მოწმობს, რომ ფულზე ყველა არ იყიდება.

ხელის ჭუჭყი ვახსენე და მასთან დაკავშირებულ დაუვიწყარ ფაქტს ჩაროზად შემოგთავაზებთ: ქართული სუფრის ტრფიალს ერთ-ერთ მეგობრულ პიკნიკზე შეაგვიანდა და ამის გამო რომ ვუსაყვედურეთ, ხელი ჯიბეში ჩაიყო, გვიპასუხა – დღეს ხელფასი ყვითელი 50-თეთრიანებით მომცესო – და თანამეინახეები თითო მუჭა რკინეულობით დაგვასაჩუქრა.

ასეთია ოჯახსა და საახლობლოზე თან გადაყოლილი, კაცობის თესვაში ჭიპმოჭრილი ჩვენი „ჭიპა“, რომელიც დღეს იუბილარია.

70-ე ზაფხულს გილოცავთ, ძმაო!

მეგობართა სახელით –
გია პლატონიშვილი

პრემიერ-მინისტრმა კლინიკების ხელმძღვანელებთან ვაქცინაციის გაფართოების ღონისძიებებზე იმსჯელა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრ ეკატერინე ტიკარაძესთან ერთად საქართველოს მასშტაბით მოქმედი კლინიკების ხელმძღვანელებს შეხვდა. ინფორმაციას საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, ირაკლი ღარიბაშვილმა კლინიკების ხელმძღვანელებს საკოორდინაციო საბჭოს მიერ მიღებული ახალი გადაწყვეტილებები გააცნო, რომლის მიხედვითაც 1-ლი ივლისიდან გადაადგილების შეზღუდვა უქმდება და დღეიდან, ღია სივრცეში პირბადის ტარება სავალდებულო აღარ იქნება.

მთავრობის მეთაურმა კლინიკების ხელმძღვანელებისგან ვაქცინაციის მიმდინარეობის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოისმინა. პრემიერ-მინისტრმა და კლინიკების ხელმძღვანელებმა ვაქცინაციის პროცესის გაფართოებისა და კიდევ უფრო ეფექტურად წარმართვისთვის საჭირო ღონისძიებებზე იმსჯელეს. მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ საქართველოს მასშტაბით დიდ ქალაქებში მასობრივი ვაქცინაციის ცენტრების მობილიზება იგეგმება და ამ პროცესში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებიც ჩაერთვებიან.

პრემიერ-მინისტრმა და კლინიკების ხელმძღვანელებმა ვაქცინების დამატებითი დოზების შემოსვლის ვადებზე იმსჯელეს. პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ ორ კვირაში ქვეყანაში ვაქცინის მილიონი დოზა შემოვა და წლის ბოლომდე, საქართველოში ჯამში მობილიზებული იქნება 3,6 მილიონზე მეტი ვაქცინა.

დახურულ სივრცეებში, საზოგადოებრივ ტრანსპორტსა და ტრანსპორტის გაჩერებებზე პირბადის ტარება კვლავ სავალდებულო იქნება

ამის შესახებ, უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოსთან არსებული ოპერატიული შტაბის უფროსმა, გიორგი ღიბრაძემ უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს დასრულების შემდეგ, მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

ღია სივრცეებში კი პირბადის ტარება დღეიდან სავალდებულო აღარ იქნება.

„დღეიდან სავალდებულო აღარ იქნება პირბადის ტარება ღია სივრცეებში. შეზღუდვა და პირბადის ტარების რეკომენდაცია რჩება ძალაში და ვისაც სურვილი აქვს, პირბადე უნდა ატაროს, ხოლო დახურულ სივრცეებში, საზოგადოებრივ ტრანსპორტსა და ტრანსპორტის გაჩერებებზე პირბადის ტარება კვლავ რჩება სავალდებულო“, — განაცხადა ღიბრაძემ.

ორ კვირაში შემოვა მილიონი ვაქცინა და ჩვენ დავიწყებთ ინტენსიურ ვაქცინაციას

ორ კვირაში შემოვა მილიონი ვაქცინა და ჩვენ დავიწყებთ ინტენსიურ ვაქცინაციას, — ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

ქვეყანაში „ასტრაზენეკათი“ ვაქცინაცია 2021 წლის 15 მარტიდან დაიწყო, „ფაიზერით“ კი 3 აპრილს. ქვეყანამ „სინოფარმის“ ვაქცინის 100 ათასი დოზის გამოყენება 4 მაისიდან დაიწყო, „სინოვაკით“ იმუნიზაცია კი 24 მაისიდან.

მუნიციპალური ტრანსპორტი პირველი ივლისიდან მგზავრებს ჩვეულ რეჟიმში მოემსახურება

უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, ქვეყანაში გადაადგილებაზე არსებული აკრძალვები იხსნება, რომლის შედეგადაც, შეზღუდვა გაუქმდება დედაქალაქში მოძრავ მუნიციპალურ ტრანსპორტზეც, — ამის შესახებ ინფორმაციას თბილისის მერია ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, პირველი ივლისიდან თბილისის მეტრო და მუნიციპალური ავტობუსები მგზავრებს ჩვეულ რეჟიმში მოემსახურებიან.

კვლავ ძალაში რჩება მგზავრობისას პირბადის ტარების აუცილებლობა. აღნიშნული საკითხი თბილისის სატრანსპორტო კომპანიის შესაბამისი სამსახურების მიერ მომავალშიც მკაცრად გაკონტროლდება.

სანთელი

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის თანამშრომლები მარინა კანდელაკი, გურამ გოგიაშვილი, სპარტაკ ქობულია, გია პლატონიშვილი გულწრფელ სამძიმარს უცხადებენ სახელოვან ქართველ სპორტსმენს გიორგი კანდელაკს საყვარელი დედის

ეთერ სოლომონის ასული თათრიშვილი-კანდელაკის

გარდაცვალების გამო.

თენგიზ ქავთარაძე, ზაურ ფხალაძე, მიშა სალაძე სამძიმარს უცხადებენ გიორგი კანდელაკს დედის

ეთერ სოლომონის ასული თათრიშვილი-კანდელაკის

გარდაცვალების გამო.

ბორია, მარინა გოგიჩაიშვილები სამძიმარს უცხადებენ გიორგი კანდელაკს და მის ოჯახს დედის

ეთერ სოლომონის ასული თათრიშვილი-კანდელაკის

გარდაცვალების გამო.

200-ლარიანი სოციალური დახმარების მოტყუებით მიღებისთვის 3 ადამიანი დააკავეს!

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ დიდი ოდენობით თაღლითობის ფაქტზე სამი პირი დააკავეს.

გამოძიებით დგინდება, რომ კოვიდ-პანდემიის პირობებში საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული 200-ლარიანი სოციალური დახმარების მოტყუებით მიღებისათვის, ინდ. მეწარმემ და მასთან დაკავშირებულმა პირებმა ორგანიზება გაუწიეს რამდენიმე ათეული პირის მობილიზებას და მათთვის ინდ. მეწარმესთან, 2020 წლის იანვარ-თებერვალში დასაქმების დამადასტურებელი ყალბი დოკუმენტაციის მომზადებას.

„ამ პირების პირადი მონაცემები წარადგინეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში, შესაბამისად ყალბი დოკუმენტების გამოყენებით თაღლითურად დაეუფლნენ სახელმწიფოს კუთვნილ 10 200 ლარს. ამასთან, მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, ხსენებული პირები გაცემული 200-ლარიანი დახმარებიდან 100 ლარს ე.წ. „ატკატის“ სახით ართმევდნენ ბენეფიციარებს. დადგენილია, რომ აღნიშნული პირები რეალურად არ იყვნენ დასაქმებული ინდ. მეწარმესთან და შესაბამისად არ წარმოადგენდნენ საქართველოს მთავრობის განკარგულებით განსაზღვრულ დასახმარებელ პირთა წრეს. გამოძიების მიერ იდენტიფიცირებულია თაღლითურ სქემაში მონაწილე ყველა პირი და მათ მიმართ ტარდება სათანადო საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები“, — აცხადებენ უწყებაში.

◎ ნატურიდან

ვაი უკეთურობისგან!

ადრეც ვწერდი და ახლაც გავიმეორებ: მას შემდეგ, რაც კოვიდეპიდემიამ პენსიონერები დედაქალაქის ბაღ-სკვერებში გამართული პოლიტდისკუსიებიდან „გახიზნა“, ჩემი ძველი მეგობარი გერონტი შალამბერიძე სამასლაათოდ და ყოველდღიური გაწამაწიისგან გულის გადასაყოლებლად ბინაზე მსტუმრობს. ამ მისიით მეწვია გუშინ საღამოსაც.

— ნაცნობ-მეგობრებთან საინტერესო შეხვედრებს ვინღა ჩივის, გაზეთებიდანაც კი ეს ორიღა შემომრჩა, — მიხსნის გერონტი და უბის ჯიბიდან „ალაზნის განთიადსა“ და „რეზონანს“ აცოცებს.

— დანარჩენს რატომ შემოსწყერი?

— მე არა, თავად შემომწყრნენ.

— ვერ მიგიხვდი.

— ამას რა მიხვედრა უნდა, გაზეთებმა ისეთი ფასი დაიდეს, ახლოს ვერ მიეკარები.

— მართალი ხარ, ჩემო გერონტი, „ასავალ-დასავალს“, რომლის გამოჩენასაც ორშაბათობით დიდი ინტერესით ველოდი, უკვე ვეღარ ვყიდულობ.

— მაგას სხვებმაც მიბაძეს, „კვირის პალიტრა“, რომელსაც ადრე 1 ლარად ვიძენდი, ჯერ 1,5 ლარი, ხოლო რამდენიმე დღის წინათ 2 ლარი გახადეს.

— არ უთქვამთ, რატომ გააძვირეს?

— როგორ არა, მკითხველებს მოგვიბოდიშეს: ნუ გაგვამტყუნებთ, არ გვინდოდა გაზეთის გაძვირება, მაგრამ რა ვქნათ, ქაღალდს, საღებავს, საზეთ-საპოხ და სხვა მასალებს საზღვარგარეთიდან ვალუტაზე ვყიდულობთ, ლარის კურსის ვარდნა კი ხარჯებს ერთიორად გვიზრდისო. ამას ემატება სტამბის, დისტრიბუციის, საწვავის სიძვირე, ჩვენ კი მხოლოდ საკუთარ შემოსავალზე (გაყიდვები, რეკლამა) ვსხედვართო.

— მე როგორც ვიცი, მაგათ საგაზეთო შემოსავლებთან ერთად კიდევ სხვა ბიზნესიც აქვთ და არ უნდა წუწუნებდნენ.

— აბა კაცო, წუწუნზე თუ მიდგა საქმე, პენსიონერებზე მეტი საწუწუნო ვის აქვთ! წლის დასაწყისში მთავრობამ პენსიაზე 20 ლარი კი წაგვიმატა, მაგრამ პროდუქტებსა და მედიკამენტებზე ინფლაციამ იმდენად იბარტყა, რომ პენსიონერები, ფაქტობრივად, მშიერმწყურვალი დაგვტოვა. ჰოდა, ნუ გაგიკვირდებათ თუ ახლა ხშირად ჩვენზე ნიადაგ მზრუნავი ტელეარხების გოგო-ბიჭების მიერ ეთერში შემწვარი ცვრიანი მწვადითა და სურნელოვანი ჩაქაფულით ვისუსნები.

— მართალი ხარ, ჩემო გერონტი, მართალი, მაგრამ არც გაზეთები არიან ხეირში. თუ გავითვალისწინებთ, რომ პრესას ძირითადად პენსიონერები ასაღებენ (ახალგაზრდობა ერთთავად ინტერნეტშია ჩამძვრალი), გაზეთებს ჩვენგან მიღებული შემოსავლების შემცირებაც ემუქრებათ.

— ამას მიხვდებიან კიდეც, მაგრამ უკვე დაგვიანებული იქნება.

— გერონტი, შენ ინფორმირებული კაცი ხარ და გეცოდინება, აი ის რაღაც მედიის განვითარების ფონდი რომ არსებობს, ფინანსურად გაჭირვებულ მედიასაშუალებებს არაფრით ეხმარება?

— აბა რა მოგახსენო, ჩემო კარგო, მაგის თავქალმა თამარ კინწურაშვილმა, სახალხო დამცველისა არ იყოს, ისეთი აცაბაცა ლაპარაკი იცის, თავბოლოს ვერ გაუგებ.

— სამაგიეროდ „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერმა ირმა ინაშვილმა იცის მშვენივრად ვის ბუდეში დებენ ეგენი კვერცხებს, საიდანაც გამოჩეკილი წიწილები, დაფრთიანდებიან თუ არა, ხმალდახმალ ებრძვიან ყოველივე ქართულსა და ტრადიციულს.

— მართალი ხარ, სწორედ მაგ ინაშვილმა დასდო ბრალი კინწურაშვილს — ყოველწლიურად უცხოეთიდან ათეულ ათასობით დოლარს რომ იღებს, აბა ჰკითხეთ იქიდან კაპიკი მაინც თუ ხმარდება უსახსრობით გულშეწუხებულ ქართულ მედიასო?

— მერე, გასცა პასუხი?

— არა, გაბუსუნებულია. ეტყობა, ეგ ქალბატონი თავად ახრამუნებს იმ თანხებს, თორემ პრესას ასე სამათხოვროდ საქმე არ ექნებოდა. აკი ინაშვილმა ამიტომაც იმდენი აგინ-აფურთხა ამ უკეთურობის მკეთებლებს, რომ მას ალბათ ივნისის მოხშირებული წვიმებიც ვერ ჩამორეცხავს.

...გვიანობამდე შევყევით მე და გერონტი ჩვენი ენჯეოელებისგან საქართველოში ნაკეთები უკეთურობის გარჩევას. რა ვქნა, არ მინდოდა, მაგრამ ამჯერად ჩემი მეგობარი შინიდან გაუმხნევებლად გავისტუმრე, ან კი რა გვქონდა საქებარი და დასამშვიდებელი?!

ოთარ ხუციშვილი

ᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ!

80 ᲝᲛᲐᲠ ᲞᲐᲭᲐᲠᲐᲕᲐᲡ!

ᲐᲮᲚᲝ ᲡᲐᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝ ᲬᲠᲔ, ᲛᲝᲧᲝᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲓᲐᲜ, ᲓᲘᲓᲐᲓ ᲐᲤᲐᲡᲔᲑᲡ ᲨᲔᲜᲡ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲐᲫᲛᲐᲙᲐᲪᲝᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲡ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲒᲘᲗᲥᲕᲐᲛᲡ ᲨᲔᲜᲓᲐᲛᲘ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡᲪᲔᲛᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲡ, ᲘᲛᲔᲓᲘᲐᲜᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲔᲗᲘᲚᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲐᲡ!

ᲒᲣᲚᲘᲗᲐᲓᲐᲓ ᲒᲘᲡᲣᲠᲕᲔᲑᲗ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐᲡ, ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲡ, ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲡ ᲨᲔᲜᲡ ᲝᲯᲐᲮᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ. ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲘᲗᲑᲝ ᲩᲕᲔᲜᲒᲐᲜ ᲒᲐᲓᲐᲔᲪᲘᲗ ᲛᲔᲣᲦᲚᲔᲡ — ᲜᲐᲜᲐᲡ ᲓᲐ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲡ.

ᲒᲘᲕᲘ ᲐᲑᲓᲣᲨᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲒᲘᲕᲘ ᲐᲑᲖᲘᲐᲜᲘᲫᲔ, ᲛᲔᲠᲐᲑ ᲐᲮᲝᲑᲐᲫᲔ, ᲒᲘᲖᲝ ᲑᲐᲫᲐᲜᲘᲫᲔ, ᲗᲐᲛᲐᲖ ᲒᲐᲑᲣᲜᲘᲐ, ᲒᲣᲠᲐᲛ ᲒᲣᲜᲐᲕᲐ, ᲑᲐᲙᲣᲠ ᲒᲣᲚᲣᲐ, ᲗᲔᲛᲣᲠ ᲗᲝᲤᲣᲠᲘᲫᲔ, ᲐᲚᲘᲫᲐ ᲙᲝᲑᲐᲘᲫᲔ, ᲯᲔᲛᲐᲚ ᲙᲣᲮᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲖᲣᲠᲐᲑ ᲚᲝᲛᲘᲫᲔ, ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲡᲐᲚᲣᲥᲕᲐᲫᲔ, ᲝᲛᲐᲠ ᲡᲘᲐᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲨᲝᲜᲘᲐ, ᲒᲘᲕᲘ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ.

Ქ. �თᲑᲘᲚᲘᲡᲘ, 2021 წ. 22 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ.

ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ „ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲮᲛᲔᲑᲘ“ ᲒᲣᲠᲘᲐᲨᲘ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲔᲑᲐ

ᲤᲝᲚᲚᲚᲝᲠᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲡᲐᲚᲝᲢᲑᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ „ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲮᲛᲔᲑᲘ“ ᲒᲣᲠᲘᲐᲨᲘ 25, 26 ᲓᲐ 27 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ. ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲨᲘ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲝᲑᲡ ᲝᲖᲣᲠ�გᲔᲗᲘᲡ, ᲥᲝᲑᲣᲚᲔᲗᲘᲡ, ᲮᲐᲠᲐ�გᲐᲣᲚᲘᲡ, ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲘᲡ, ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘᲡ, ᲑᲐᲚᲓᲐᲗᲘᲡ, ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘᲡ, ᲒᲝᲠᲘᲡ, ᲬᲐᲚᲔᲜᲯᲘᲮᲘᲡ, ᲐᲛᲑᲠᲝᲚᲐᲣᲠᲘᲡ, �თᲔᲚᲐᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲔᲜᲢᲔᲮᲘᲡ 200 ᲡᲐᲚᲝᲢᲑᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲝᲡ�წᲐᲕᲚᲔ.

ᲡᲐᲛᲓᲦᲘᲐᲜᲘ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘᲡ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲨᲘ, ᲓᲐᲒᲔ�გᲛᲘᲚᲘᲐ ᲝᲖᲣᲠ�გᲔᲗᲘᲡ ᲤᲝᲚᲚᲚᲝᲠᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲨᲘ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲕᲐ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲔᲑᲘ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲔᲚᲡ ᲬᲐᲠᲣᲓᲒᲔᲜᲔᲜ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲙᲣᲗᲮᲘᲡ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ-ᲒᲐᲚᲝᲑᲘᲡ ᲜᲘᲛᲣᲨᲔᲑᲡ. ᲓᲦᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲨᲘ ᲨᲔᲙᲕᲔᲗᲘᲚᲨᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲐᲥᲢᲘᲕᲝᲑᲐᲐ ᲓᲐᲒᲔ�გᲛᲘᲚᲘ — ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲗᲐᲛᲐᲨᲝᲑᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲛᲝᲔᲬᲧᲝᲑᲐ ᲤᲘᲚᲛᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲐ-ᲒᲐᲠᲩᲔᲕᲐ, ᲤᲝᲚᲚᲚᲝᲠᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲩᲐᲐᲢᲐᲠᲔᲑᲡ ᲛᲐᲡᲢᲔᲠᲙᲚᲐᲡᲔᲑᲡ. ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲐᲜᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲙᲣᲗᲮᲘᲡ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚᲘ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ-ᲒᲐᲚᲝᲑᲘᲡ ᲣᲙᲔᲗ ᲬᲐᲠᲛᲝᲩᲔᲜᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲗᲐᲝᲑᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

„ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲮᲛᲔᲑᲘ“ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ 2019 ᲬᲔᲚᲡ ᲒᲣᲠᲘᲐᲨᲘ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲐ. ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲨᲘ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲝᲑᲓᲐ 11 ᲡᲐᲚᲝᲢᲑᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ — ᲝᲖᲣᲠ�გᲔᲗᲘᲡ, ᲬᲐᲚᲔᲜᲯᲘᲮᲘᲡ, ᲚᲔᲜᲢᲔᲮᲘᲡ, ᲡᲐᲩᲮᲔᲠᲘᲡ, ᲝᲜᲘᲡ, ᲛᲔᲡᲢᲘᲘᲡ, ᲤᲝᲗᲘᲡ, ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ, ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘᲡ, ᲥᲝᲑᲣᲚᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲘᲡ 400-ᲛᲓᲔ ᲑᲐᲕᲨᲕᲘ. ᲓᲦᲔᲡᲓᲦᲔᲝᲑᲘᲗ ᲤᲝᲚᲚᲚᲝᲠᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ 27 ᲡᲐᲚᲝᲢᲑᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲐ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲝᲜᲘᲠᲔᲑᲡ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚᲘ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ-ᲒᲐᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲬᲐᲕᲚᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲡᲣᲠᲕᲔᲚᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲐᲛ ᲜᲝᲛᲔᲠᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲒᲝᲒᲚᲐ ᲚᲔᲝᲜᲘᲫᲘᲡ ᲛᲐᲓᲚᲘᲐᲜᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲡᲣᲠᲜᲔᲚᲘ ᲐᲡᲓᲘᲡ

ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ „ᲝᲚᲔᲔ“ 2021 ᲬᲚᲘᲡ II ᲜᲝᲛᲔᲠᲘ. „ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ“ ᲠᲣᲑᲠᲘᲙᲘᲗ ᲘᲑᲭᲔᲭᲓᲔᲑᲐ: ᲚᲐᲜᲐ ᲛᲐᲜᲕᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲛᲑᲘ ᲪᲘᲙᲚᲘᲓᲐᲜ — ᲗᲣᲠᲥᲣᲚᲘ ᲛᲝᲢᲘᲕᲔᲑᲘ, ᲛᲐᲠᲘᲐᲛ ᲫᲐᲛᲣᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲕᲔᲢᲐ ᲞᲐᲕᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲛᲑᲘ; ᲗᲘᲜᲐᲗᲘᲜ ᲗᲔᲚᲐᲕᲔᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲛᲐᲠ ᲙᲝᲚᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ.

ᲠᲣᲑᲠᲣᲙᲐᲨᲘ „ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲛᲝᲥᲛᲔᲚᲘ“, ᲒᲐᲔᲪᲜᲝᲑᲘᲗ ᲤᲘᲠᲣᲖ ᲙᲝᲭᲚᲐᲛᲐᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲡ.

ᲠᲣᲑᲠᲘᲙᲐ „ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ“ ᲬᲐᲠᲛᲝᲒᲕᲘᲓᲒᲔᲜᲡ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲡ ᲔᲚᲒᲣᲯᲐ ᲚᲔᲒᲐᲜᲘᲫᲔᲡ. ᲝᲗᲐᲠ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲘᲮᲡᲔᲜᲔᲑᲡ ᲨᲕᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲡ, ᲔᲚᲒᲣᲯᲐ ᲚᲔᲒᲐᲜᲘᲫᲔᲡ, ᲮᲝᲚᲝ ᲤᲐᲠᲜᲐ ᲠᲐᲘᲜᲐ ᲚᲔᲥᲡᲣᲚᲘᲡ ᲛᲐᲡ. ᲐᲥᲕᲔ ᲓᲐᲑᲭᲔᲭᲓᲘᲚᲘᲐ ᲔᲚᲒᲣᲯᲐ ᲚᲔᲒᲐᲜᲘᲫᲘᲡ ᲜᲝᲕᲔᲚᲐ „ᲑᲝᲗᲚᲨᲘ ᲩᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲙᲝᲜᲘᲐᲙᲘ“

„ᲗᲐᲠᲒᲛᲐᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲠᲣᲑᲠᲘᲙᲘᲗ ᲥᲕᲔᲧᲜᲓᲔᲑᲐ ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲡᲝᲠᲝᲙᲘᲜᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲐ „ᲒᲣᲚᲘᲗᲐᲓᲘ ᲗᲮᲝᲕᲜᲐ“. ᲠᲣᲑᲠᲘᲙᲘᲗ „ᲜᲐᲑᲘᲯᲘ“ — ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲩᲐᲜᲐᲠᲗᲘ“ ᲥᲕᲔᲧᲜᲓᲔᲑᲐ ᲛᲐᲠᲘᲐᲛ ᲙᲐᲚᲛᲐᲮᲔᲚᲘᲫᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲔᲑᲘ.

ᲠᲣᲑᲠᲘᲙᲐᲨᲘ „ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲐ“ ᲘᲑᲭᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲜᲘᲜᲝ ᲓᲐᲠᲑᲐᲘᲡᲔᲚᲘ-ᲡᲢᲠᲝᲜᲘᲡ „ᲠᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲡ“. „ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡ“ ᲒᲐᲜᲒᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲬᲐᲘᲙᲘᲗᲮᲐᲕᲗ ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲤᲘᲙᲝ ᲒᲕᲠᲘᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲡ.

ᲠᲣᲑᲠᲘᲙᲐᲨᲘ „ᲓᲦᲕᲐᲚᲬᲛᲝᲡᲘᲚᲘ ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘ“ ᲐᲛᲐᲚᲘᲐ ᲕᲐᲨᲐᲧᲛᲐᲫᲘᲡ 80 ᲬᲚᲘᲡ ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲑᲭᲔᲭᲓᲘᲚᲘᲐ ᲚᲐᲚᲘ ᲥᲔᲕᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ „ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲑᲐᲮᲘᲡ ᲡᲐᲤᲚᲐᲕᲖᲔᲪ ᲐᲛᲦᲔᲠᲔᲑᲣᲚᲘ...“

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲣᲚᲘ ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡ XI ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘᲡ „ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲜᲘᲜᲝᲡ ᲯᲕᲐᲠᲘ“ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲨᲘ ᲓᲐᲑᲭᲔᲭᲓᲘᲚᲘᲐ ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠ ᲑᲔᲥᲐ ᲮᲣᲪᲣᲠᲐᲣᲚᲘᲡ ᲤᲔᲠᲐᲓᲘ ᲓᲐ ᲨᲐᲕᲗᲔᲗᲠᲘ ᲜᲐᲮᲐᲢᲔᲑᲘ. ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ „ᲝᲚᲔ“ ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲔᲛᲐ �თᲔᲚᲐᲕᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲘᲡ (ᲛᲔᲠᲘ ᲨᲝᲗᲐ ᲜᲐᲠᲔᲯᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ) ᲓᲐ ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ (ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ ᲐᲠᲩᲘᲚ ᲗᲮᲚᲐᲨᲘᲫᲔ) ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲘᲗ. ᲒᲣᲚᲬᲠᲤᲔᲚᲘ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲛᲐᲗ!

ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲢᲘᲢᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲓᲐᲠᲩᲔᲡ...

ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘ ᲰᲐᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔ�გᲐᲜ ᲛᲐᲠᲙᲚᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲘ ᲐᲠᲩᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ ᲞᲠᲘᲜᲪᲘ ᲕᲔᲠᲐᲡᲓᲠᲝᲡ ᲒᲐᲮᲓᲔᲡ... ᲞᲠᲘᲜᲪᲘ ᲩᲐᲠᲚᲖᲘ ᲠᲝᲪᲐ ᲛᲔᲤᲔ ᲒᲐᲮᲓᲔᲑᲐ, ᲛᲝᲜᲐᲠᲥᲘᲘᲡ ᲮᲐᲠᲯᲔᲑᲡ ᲨᲔᲐᲛᲪᲘᲠᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲒᲔᲒᲛᲐᲕᲡ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔᲮᲐᲠᲘᲡᲮᲝᲕᲐᲜ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲡ ᲢᲘᲢᲣᲚᲘ ᲩᲐᲛᲝᲐᲠᲗᲕᲐᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲛᲘᲐᲩᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐ ᲡᲐᲛᲔᲤᲝ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲮᲐᲠᲯᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲘᲦᲚᲐ.

ᲐᲛᲐᲜ ᲞᲠᲘᲜᲪᲘ ᲰᲐᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲔ�გᲐᲜ ᲛᲐᲠᲙᲚᲘᲡ ᲠᲘᲡᲮᲕᲐ ᲒᲐᲛᲝᲘᲬᲕᲘᲐ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ ᲛᲐᲗ ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲝᲠᲘ ᲣᲘᲜᲤᲠᲘᲡᲗᲐᲜ ᲮᲛᲐᲣᲠᲘᲐᲜ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣᲛᲓᲔ ᲨᲔᲘᲢᲧᲕᲔᲡ.

ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ, ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘᲐ ᲘᲛᲐᲖᲔ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ ᲨᲔᲘᲪᲕᲐᲚᲝᲡ ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚᲘ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲐᲪᲘᲐ, ᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲠᲝᲛ ᲐᲠᲩᲘ ᲞᲠᲘᲜᲪᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲮᲓᲔᲡ. ᲞᲐᲠᲐᲚᲔᲚᲣᲠᲐᲓ, ᲞᲠᲘᲜᲪᲘ ᲩᲐᲠᲚᲖᲘ ᲔᲚᲐᲕᲡ ᲘᲛᲐᲖᲔᲪ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡ ᲡᲐᲛᲔᲤᲝ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲘᲡ ᲡᲐ�კᲘᲗᲮᲘ ᲡᲣᲚ ᲣᲤᲠᲝ ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲐᲓ ᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲡ. ᲛᲐᲜ ᲛᲝᲜᲐᲠᲥᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐ�კᲘᲗᲮᲖᲔ ᲣᲛᲪᲠᲝᲡ ᲫᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲜᲓᲠᲘᲣᲡᲗᲐᲜᲐᲪ ᲘᲙᲐᲛᲐᲗᲐ. ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲤᲝ ᲝᲯᲐᲮᲛᲐ 2020 ᲬᲔᲚᲡ ᲡᲣᲕᲔᲠᲔᲜᲣᲚᲘ ᲒᲠᲐᲜᲢᲘᲡ ᲡᲐᲮᲘᲗ 69,4 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲤᲣᲜᲢᲘ ᲛᲘᲘᲦᲝ. ᲐᲥ ᲐᲠᲐᲐ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡ�წᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲮᲐᲠᲯᲔᲑᲘ ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲐ ᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲡ.

ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲰᲐᲔᲠᲘᲕᲘᲗ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ!

ᲒᲐᲜᲐᲗᲐᲕᲡᲔᲗ ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲜᲓᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲨᲘ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲗ ᲮᲔᲚᲘ ᲨᲔᲣᲬᲧᲕᲗ 103 ᲬᲚᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲐᲦᲝᲠᲫᲘᲜᲔᲑᲐᲡ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲜ�გᲐᲠᲘᲨᲘᲐ: №GE19TB7601536020100009.

(ᲨᲞᲡ „ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔ“ — ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ᲕᲐᲟᲐ ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐᲡ №48
ᲢᲔᲚ: 239-03-43

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙ ᲯᲝᲑᲣᲚᲘᲐ
599 36-00-35

ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ:
�გᲣᲠᲐᲛ �გᲝ�გᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
599 53-76-16;
ᲐᲚᲔᲥᲝ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
599 56-81-86;
ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ
514 33-33-24

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲘ:
ᲨᲞᲡ „ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔ — ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ“
599 53-76-16; 599 36-00-35
ᲨᲞᲡ „ᲗᲘᲜᲐᲓᲒᲝᲛᲐ -1-ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ“
Ტ: 599 79-76-79
ᲘᲑᲭᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ
„ᲙᲝᲚᲝᲠᲘ“
Ე. ᲑᲐᲦᲓᲐᲕᲐᲫᲘᲡ №3
ᲙᲝᲚᲝᲠᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!
ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲣᲙᲕᲔᲗᲐᲕᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲑᲭᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲮᲐᲠᲯᲘᲗ. ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲔᲑᲘ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲛᲣᲓᲐᲛ ᲐᲠ ᲔᲛᲗᲮᲕᲔᲝᲓᲔᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ. ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲖᲣᲡᲢᲔᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲐᲒᲔᲑᲔᲜ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲡ, 25 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ:
ᲐᲨᲨ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ - 3.1653; ᲔᲕᲠᲝ - 3.7658;
ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲣᲚᲘ ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲐ ᲡᲢᲔᲠᲚᲘᲜᲒᲘ - 4.3947;
100 ᲠᲣᲑᲚᲘ - 4.3321; ᲗᲣᲠᲥᲣᲚᲘ ᲚᲘᲠᲐ - 0.3612;
ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲣᲚᲘ ᲛᲐᲜᲐᲗᲘ - 1.8592;
1000 ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲘ ᲓᲠᲐᲛᲘ - 6.1542.

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ 23 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ
ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:
ᲑᲐᲠᲘ - ᲦᲐᲛᲔ +16, ᲓᲦᲔ +38
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ - ᲦᲐᲛᲔ +11, ᲓᲦᲔ +36
ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:
ᲑᲐᲠᲘ - ᲦᲐᲛᲔ +17, ᲓᲦᲔ +31
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜ